



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საბანკო საქმე

სამაგისტრო ნაშრომი

კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის
ამაღლების საკითხები საქართველოში

სტუდენტი: ლაშა ვახტანგაძე

ხელმძღვანელი: პროფესორი ნ. ბაგრატიონი

თბილისი

2020

სარჩევი

Annotation	3
შესავალი	4
თავი I. კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის არსი, ანალიზი და მართვა	7
1.1. საბანკო ლიკვიდურობის არსი და მაჩვენებელთა სისტემა	7
1.2. ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები	26
1.3. ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებლები.....	29
თავი II. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა საბანკო საქმიანობაში	36
2.1. კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა.....	36
2.2. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა საბანკო საქმიანობაში	46
თავი III. ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის	54
წონასწორობის პრობლემა.....	54
დასკვნა.....	56
გამოყენებული ლიტერატურა.....	58

ანოტაცია

საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მის გამართულ მუშაობაზე მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობაა დამოკიდებული. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთერთ

ურთულეს და საინტერესო სფეროს საბანკო სექტორი წარმოადგენს, საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა. თავის მხრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენს საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისგან, ახორციელებენ მათ გასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღდო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომ ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია საფინანსო სექტორის და კერძოდ კომერციული ბანკების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა ზრდის ფაქტორები და მიმართულებები, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის ასევე, მთლიანად სექტორის დონეზე.

წარმოდგენილი **ნაშრომის მიზანია** კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, მათი ზრდის ფაქტორების მიმოხილვა და ანალიზი.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე სადიპლომო ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: კომერციული ბანკების ლიკვიდობის არსი, ანალიზი და მართვა, ბანკების ლიკვიდურობის კონცეფციების ფორმირება, ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებლების სისტემა და გადახდისუნარიანობის ამაღლების საკითხები თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისაგან და ხუთი ქვეთავისაგან. ნაშრომს ერთვის დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

შესავალი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ბანკის რესურსების ფორმირება პირველხარისხიან მნიშვნელობას იძენს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლას, საბანკო სისტემის ცვლილებებს, საბანკო საქმეზე სახელმწიფოს მონოპოლიის ლიკვიდაციას მოსდევს ბანკის რესურსების

ხასიათის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამასთან ერთად იქმნება საკუთრების განსხვავებული ფორმის მქონე დაწესებულებები და ორგანიზაციები, ე.ი. ჩნდებიან ახალი მესაკუთრეები დროებითი თავისუფალი ფულადი რესურსებით, რომელთა დაბანდების ხერხებს და მეთოდებს თვითონ მესაკუთრეები განსაზღვრავენ, რაც ხელს უწყობს საკრედიტო რესურსების შექმნას, რომლებიც ორგანულად ერწყმიან ფულად ურთიერთობათა სისტემას.

საბანკო სისტემის ფუნქციონირების მთავარი ამოცანებია: კომერციული ბანკების ჩამოყალიბებისა და კანონზომიერებების შესწავლა, კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირება და სრულყოფის გზების ძიება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რადგან საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობა და მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელია ფულად საკრედიტო პოლიტიკის რადიკალური გარდაქმნისა და შესაბამისი თეორიული დებულების დამუშავების გარეშე. საქართველოს მთავრობამ მიიღო ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილება ეკონომიკური რეფორმის განხორციელების თაობაზე. დღის წესრიგში დადგა საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმირების საკითხი, რომელიც უზრუნველყოფდა მთლიანად საბანკო სისტემის განმტკიცებას. მხედველობაში გვაქვს საბანკო საქმიანობის ორსაფეხურიანი სისტემის შექმნა. ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება; საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირება ეტაპობრივი დანერგვისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები მამოძრავებელ ბერკეტად უნდა გადაიქცნენ, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკაში უნდა მოხდეს დამატებითი ფულადი სახსრების საბანკო კრედიტის სახით გამოყენება, მათ ქვეყნის საფინანსო კრიზისიდან თავის დაღწევასა და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარების უზრუნველყოფაში კაპიტალიზატორის როლი უნდა შეასრულონ.

კერძოდ, მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკები არიან პირველი და როგორც წესი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი ფინანსური შუამავლები საფინანსო ბაზარზე, საბანკო სერვისის სპექტრის გაუმჯობესება დიდ გავლენას ახდენს როგორც დანაზოგების, ისე ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

ჩვენი დასამუშავებელი თემაა კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მართვა, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

ერთი შეხედვით, კომერციული ბანკის ლიკვიდობა არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ანუ ბანკის შესაძლებლობისაგან – დროულად აგოს პასუხი თავისი ვალდებულებების შესრულებაზე დროის განსაზღვრულ მომენტში. მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, აუცილებელია მათ შორის განსხვავების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნაროდ მიიჩნევა ბანკი, რომელსაც შეუძლია, ადრე თუ გვიან, შეასრულოს ვალდებულებები, ხოლო ლიკვიდურად – რომელიც განსაზღვრულ ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას. არალიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. დადგენილი ზღვრის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კრიტიკული ზღვრის მიღწევამდე შემლებს ლიკვიდობის აღდგენას, კრიზისი დროებითი ხასიათისა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუნარობის კრიზისში გადავა და საბანკო საქმიანობისათვის პრაქტიკული შედეგით – ლიცენზიის ჩამორთმევითა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დამთავრდება. როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და ამ ორივეს განსაზღვრავს ბანკის მომგებიანობა.

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხი უკანასკნელ წლებში თანდათანობით ამალდა, რაც მიღწეულ იქნა საბანკო სისტემაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სრულყოფის, ცალკეული საბანკო დაწესებულებების სტაბილურობის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებით. კერძოდ, საქართველოში ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების აქტივების, საკრედიტო დაბანდებების, მოზიდული სახსრების, ანაბრების მოცულობის და წმინდა მოგების ზრდის ტენდენცია. ზემოთქმულს ხელი შეუწყო კომერციული ბანკების მხრიდან სტრეს-ტესტების მეთოდურად განხორციელებამ, რაც განპირობებულია ქვეყნის

ეროვნული ბანკის მოთხოვნით. რამდენადაც აღნიშნულ სტატიაზე მუშაობა უფრო ადრე დავიწყეთ ვიდრე საქართველოს ეროვნულ ბანკს გამოეყოფოდა საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია, ავტორები იტოვებენ იმედს, რომ აღნიშნულ კვლევაში ეროვნული ბანკის როლის შესახებ საუბარი არ იქნება არასწორად გაგებული. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამოთმევის საკითხის განხილვა ცალკე საკვლევე მასალა და თემაა. საქართველოს ეროვნული ბანკი თანმიმდევრულად ავითარებს სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას. მნიშვნელოვანია იმ სცენარებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენა და შეფასება, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ბანკმა რეგულარულად უნდა აწარმოოს სტრეს-ტესტები და განიხილოს შედეგები ზედამხედველთან. მოცემული კვლევა განმარტავს ზოგად პრინციპებს და აღწერს იმ ძირი-თად მინიმალურ ჩარჩოს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა სტრეს-ტესტების ჩატარებისას. სტრეს-ტესტი უნდა ჩატარდეს მთლიანად ბანკის დონეზე (Enterprise level stress) და მოხდეს ბანკის მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე სხვადასხვა შოკისა და მათთან ურთიერთდაკავშირებული ეფექტის შეფასება. მაგალითად, მაკრო შოკების გავლენა საკრედიტო რისკზე, ლიკვიდობაზე, მომგებიანობაზე. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილების სცენარის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ეფექტი ბანკის ბალანსის გადაფასებაზე (საბაზრო რისკი), აქტივების ხარისხზე (საკრედიტო რისკი), ვალდებულებების კოვენანტებზე (პერსონალური სივრცე, კერძო სივრცე) (ლიკვიდობის/ფონდირების რისკი) და სხვა

თავი I. კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის არსი, ანალიზი და მართვა

1.1. საბანკო ლიკვიდურობის არსი და მაჩვენებელთა სისტემა

ზოგადად საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს მისი გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის უნარს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობა მის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. თუკი საწარმო გამუდმებით (მინიმუმ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) შეუფერხებლად ფარავს დავალიანებებს და არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მასთან ურთიერთობა ყველა

სფეროში უსაფრთხოა¹.

საწარმოთა გადახდისუნარიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ მათი მმართველობა, არამედ, მათთან ურთიერთობაში მყოფი ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ეკონომიკაში იზოლირებულად ვერცერთი სუბიექტი ვერ არსებობს. ერთ საწარმოში წარმოქმნილი არასტაბილურობა ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, მთელ ეკონომიკაზე ვრცელდება. ამიტომ, საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მიმართულება კი მისი მყარი გადახდისუნარიანობაა. მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის ანალიზი;
- კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა;
- ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდოლოგია.

საწარმოს გადახდისუნარიანობას მისი ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს. ტერმინი “ლიკვიდური” ლათინურიდან – თხევადს, მოძრავს ნიშნავს. ეკონომიკაში მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებების – ფულადი თანხების არსებობას გულისხმობს. ლიკვიდურია ისეთი ქონება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად.

ლიკვიდობა თავისი შინაარსით გულისხმობს მატერიალური ფასეულობის ფულად სახსრებად ადვილად რეალიზებადს, მარტივად კონვერტირებადს, სწრაფად გაყიდვადს. ტერმინი „ლიკვიდობა“ ფართოდ გამოყენებადია სხვადასხვა გარემოებაში, მაგალითად, საწარმოს ლიკვიდობა, ბაზრის ლიკვიდობა, ბალანსის ლიკვიდობა, აქტივის ლიკვიდობა, ლიკვიდობის დონე და ა. შ. ჩვენი შესწავლის საგანია ბანკის ლიკვიდობა, რაც მდგომარეობს მის უნარში, დროულად, ანუ დათქმულ ვადაში და სრულად გაისტუმროს ვალდებულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ესაა ბანკის უნარი, პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე, ოღონდ აქ აღნიშნულია ორი მნიშვნელოვანი მომენტი: სრულად და დათქმულ ვადაში.²

ამდენად, ფულადი თანხა აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივს წარმოადგენს.

¹ ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) სახელმძღვანელო თბ. 2011 გვ. 90

² ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.194

რადგან, მისი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები: ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები.

ნაღდი ფული, როგორც აქტივი, აუცილებელია ბანკისთვის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ხოლო კაპიტალდაბანდებები ფასიან ქაღალდებში წარმოადგენს ლიკვიდურობის შენარჩუნების რეზერვს და შემოსავლის მიღების ერთ-ერთ წყაროს. რაც შეეხება კრედიტს, იგი გაიცემა შემოსავლის მიღების მიზნით, ხოლო მეორეხარისხოვანი აქტივები წარმოადგენს ე.წ. ფიქსირებულ აქტივებს, რომლებიც არის ბანკის საკუთრება (შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა). დეპოზიტები, როგორც წესი, ბანკის აქტივების დაფინანსების ძირითადი წყაროა. არასადეპოზიტო ვალდებულებები კი წარმოადგენს ლიკვიდურობის გაზრდის საშუალებებს, როცა ეს უკანასკნელი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი ნაღდი ფულით და ფასიანი ქაღალდებით. აქციონერთა კაპიტალი აყალიბებს გრძელვადიან და სტაბილურ ფინანსურ ფუნდამენტს, რომლის საშუალებითაც ბანკი ვითარდება და ფარავს ყველა გაუთვალისწინებელ დანაკარგს.

ბანკის აქტივები წარმოადგენს მის ძირითად ინსტრუმენტს და, აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ, რა ფორმითაა აქტივები ინვესტირებული, რამდენად ექვემდებარება ისინი რისკს და რა მოცულობის ლიკვიდური ფონდები აქვს ბანკს. ზოგადად, ინვესტორები ყურადღებით ეკიდებიან არა მხოლოდ აქტივების ზრდას, არამედ მის შემადგენლობასაც: ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო პორტფელი და მისი სტრუქტურა, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა და ა.შ. ბანკის აქტივების პირველი მუხლი არის ნაღდი ფული. სწორედ ნაღდი ფული და დეპოზიტები „ნოსტრო“ ანგარიშებზე წარმოადგენს ბანკის ლიკვიდურ აქტივს. ნაღდი ფული, განთავსებული ბანკის საცავებში, და ნებისმიერი დეპოზიტები, განთავსებული სხვა ბანკებში (დეპოზიტები ბანკ-კორესპონდენტში), ნაღდი ფული ინკასაციის პროცესში და აგრეთვე რეზერვები, განთავსებული ეროვნულ ბანკში, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პირველად რეზერვებს, წარმოადგენს რესურსების მთავარ წყაროს. მისი საშუალებით ბანკი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოეშობა გაუთვალისწინებელი დაკრედიტებისას ან კლიენტის მხრიდან დეპოზიტების გამოთხოვისას. ბანკი

ცდილობს, ასეთი სახის რეზერვის დონე არ იყოს ძალიან მაღალი, რადგან მას ან საერთოდ არ მოაქვს საპროცენტო შემოსავალი, ან ძალიან მცირე მოცულობის საპროცენტო სარგებელს იძლევა.

მაშასადამე, საფინანსო-საბანკო ლექსიკონში ლიკვიდობა განისაზღვრება, როგორც „ბანკის უნარი, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება.

ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობაში ძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაიფაროს პასივის ვალდებულებები.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი მათგანი აშკარაა, მათიზემოქმედება უეჭველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ.

ვალდებულებათა თავისდროული შესრულებისათვის აუცილებელია მაქსიმალური შესაბამისობა ბანკის მოზიდული პასივებისა და დაბანდებების ვადების მიხედვით ისე, რომ აქტივების რეალიზაცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკმარისი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკის მეანაბრეთა მოთხოვნილებები და ვუპასუხოთ იმ დანარჩენი ვალდებულებების მიხედვით, რომელთა ვადაც დადგა. ზემოაღნიშნული დაბალანსებულობის გარეშე ბანკის ნორმალურ მუშაობაზე საუბარი ზედმეტია, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საბანკო პოლიტიკის პირველსაფუძვლად.

ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები³. ბანკის ლიკვიდობის შეფასებით დაინტერესებულნი არიან:

- ცენტრალური ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით;

³ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე (ლექციების კურსი) თბ. 2009 გვ.61

- ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და ზრდით

- კრედიტორები და მეანაბრები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები;

- ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრედიტორებისა და მეანაბრების წინაშე მათი სახსრების დაცულობაზე;

- პოტენციური პარტნიორები (მ.შ. უცხოელი), რომელთა წინაშეც დგას ბანკთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების პრობლემა.

რამდენადაც საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, იმ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის, მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას:

- საკუთარი სახსრების საკამრისობის მაჩვენებლები;

- აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის

- მიხედვით ურთიერთმიმართების მაჩვენებლები;

- აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები;

- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოზიდულ სახსრებს: დეპოზიტური ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოზიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი;

- მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკი დღეისათვის აკონტროლებს ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას:

1) ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საერთო ვალდებულებებთან;

2) მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან;


3) საშუალოთვიური ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა

საშუალოთვიურ

საერთო ვალდებულებებთან.

გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანაფარდობის ნორმატივის დაცვა.

ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამას გარდა, ყოველ მაჩვენებელს, რომელსაც აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, უნდა ჰქონდეს კრიტერიალური დონე, დადგენილი ყოველი ბანკის მიერ დამოუკიდებლად, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები, დასახული საკუთარი ლიკვიდობის მართვის შიდასაბანკო ორგანოების მიერ.

მამასადამე ცნება “ლიკვიდურობა” მატერიალური ფასეულობებისა და სხვა აქტივების რეალიზაციის, გაყიდვის, ფულად სახსრებად გარდაქმნის სიადვილეზე მიუთითებს. ცნება “გადახდისუნარიანობა” კი სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ თავის საგადასახადო ვალდებულებების თავისდროულად და მთლიანი მოცულობით შესრულების შესაძლებლობას მოიცავს. ამრიგად, ლიკვიდურობა გადახდისუნარიანობის როგორც საჭირო და აუცილებელი პირობის როლში გამოდის.

ლიკვიდობა საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ცნებაა. საფინანსო და საბანკო სისტემების განვითარებამ და მუდმივმა გართულებამ შეცვალა თავად მისი არსი. ბანკის ლიკვიდობა მჭიდრო კავშირშია იმ ბაზრის ლიკვიდობასთან, რომელზეც ის მუშაობს. რაც უფრო მდგრადი, მრავალფეროვანი, ტევადი და კონკურენტუნარიანია ბაზარი, მით უფრო ფართო ხდება ცნება - „ბანკის ლიკვიდობა“. ძირითად ნიშნებს, რომელიც ახასიათებს ლიკვიდობას, მიეკუთვნება დრო, ლიკვიდობის წყარო,

საგადასახდელო საშუალებების ტიპი და ბანკის ხარჯების სიდიდე მისი ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის.

ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა კომერციული ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი კომპონენტებია. ამრიგად, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის გაჩენის პრობლემები, პირველ რიგში, გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე და, შესაბამისად, უკავშირდება ლიკვიდობის არაეფექტურ მენეჯმენტს. კომერციულ ბანკში ლიკვიდობის მენეჯმენტი წარმოადგენს ბანკის საქმიანობის რთული მრავალ ფაქტორიან პროცესს, რომელიც მოითხოვს დაბალანსებულ და გონივრულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებს, განვითარების ტენდენციების ყოვლისმომცველ ანალიზსა და პროგნოზირებას, რისკების შეფასებას.

ეკონომიკის საბაზრო მოდელი გულისხმობს, რომ მომგებიანობა ბანკების მუშაობის უმნიშვნელოვანესი სტიმულია. თუმცა, საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის არასტაბილურობასთან, რაც შესაბამისად აღმოაცენებს საბანკო რისკების სერიას. მუდმივად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგებათა დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ, კონკრეტული გარიგების დადებისას კომერციული ბანკი ვერასოდეს იქნება დარწმუნებული ბოლომდე მის შედეგში, სხვა სიტყვებით, ის ატარებს გარიგების ფინანსური შედეგის რისკს. ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული ლიკვიდური აქტივების სახეობის გათვალისწინებით განასხვავებენ ლიკვიდობას, დაგროვილს ბანკის მიერ (ნაღდი ფული, მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები) და ახლადშემქნილს (მოზიდული ბანკთაშორისი კრედიტები, საბანკო თამასუქების, სადეპოზიტო და შემნახველი სერტიფიკატების გამოშვება).

ლიკვიდობის დაკარგვის რისკს აქვს ორი შემადგენელი: *რაოდენობრივი და ღირებულებითი*. რაოდენობრივი რისკი ბალანსის აქტივზე აისახება - აქვს თუ არა ბანკს ფაქტობრივად აქტივები, რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია (ფული და მასთან გათანაბრებული სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ბუნებრივი ძვირფასი ქვები, ბანკის ქონება და კაპიტალური დაბანდებები). ხოლო ბანკის პასივში - არსებობს თუ არა აუცილებელი მოცულობით სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. რაც შეეხება ფასობრივ რისკს, ის პასივში აისახება, როგორც: საპროცენტო განაკვეთების გაზრდა, რომლითაც შესაძლოა მოზიდულ იქნეს პასივები;

ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს გაზრდა; ბანკთაშორისი კრედიტის პროცენტის ზრდა დაკრედიტების კონკრეტული პირობებისა და კრედიტორისათვის გაზრდილი რისკის გამო; აუცილებლობა გავზარდოთ პროცენტი, გადახდილი სახსრების მოზიდვისას ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, სახსრების უფრო აქტიური მოდინების სტიმულირებისათვის. აქტივში კი ფასობრივი რისკი ნიშნავს იმ ფასის უარყოფითი ცვლილების რისკს, რომლითაც შეიძლება გაიყიდოს აქტივები (აქტივების გაყიდვის შეუძლებლობა ნომინალით ან ფასდაკლების გარეშე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება აქტივების ყიდვის პერიოდის მიმართ). აქტივების მართვის რისკი არის დანაკარგების აღმოცენების ალბათობა აქტივების რეალიზაციისას შემცირებული ფასით ან გასაყიდი აქტივების არარსებობა. პასივების მართვის რისკი კი - პოტენციური რისკი სახსრების შეძენისა ძალზედ მაღალ ფასად ან მათი მიუწვდომლობა.

ბანკს, რომელსაც მიმდინარე ლიკვიდურობის მხარდაჭერისათვის ლიკვიდური აქტივების საკმარისი მარაგი გააჩნია, მაშინ იგი ვალდებულების ნაკადის დაბან-დებების ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნის ნაკადებზე მეტობის გამო შეიძლება დროთა განმავლობაში დაკარგოს. ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების შეფასებასთან არის დაკავშირებული. ასეთი მიდგომისას ლიკვიდურობის შეფასება არა მარტო ბანკის საანაგრიშგებო ბალანსების მონაცემებს, არამედ მოგებისა და ზარალის ანაზღაურების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას, დაფინანსების წყაროების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ბანკის ფუნქციონირების მთელი პერიოდის მანძილზე მისი საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ბანკის მატერიალური ბაზის ფორმირებისა და განვითარების ძირითად წყაროს, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ორგანიზაციული ზრდისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ვადიანი ტრანსფორმაციის რისკის ხარისხის შეფასებისათვის აქტიური და პასიური ოპერაციების ვადების აღრიცხვაში გამოსახულების რეგულირება არის მიზანშეწონილი. საკრედიტო პოტენციალის სახსრების შემოდინებისა და გადინების ხარისხობრივი და რაოდენობრივი თანასწორობა ბანკის ლიკვიდურობის მახრდაჭერის პრაქტიკაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. გადაწყვეტილების

შერჩევისათვის ფინანსურ ინფორმაციას ბურალტრული ბალანსი წარმოადგენს, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად სრულად უნდა იქნეს გამოყენებული, იგი ხელს უნდა უწყობდეს მოგების მირებას და ფინანსური სტატისტიკური ანგარიშგების სემცირებას.

კომერციული ბანკების რესურსებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ისინი წარმოადგენენ საბანკო საქმიანობის აუცილებელ აქტურ ელემენტს. კომერციული ბანკები ერთის მხრივ აწარმოებენ იურიდიული და ფიზიკური პირებიდან თავისუფალ ფულად სახსრებს, ახდენენ რა ამით საკუთარი რესურსების ბაზის ფორმირებას და მეორეს მხრივ განათავსებენ მას თავისი სახელით დაბრუნების, სისწრაფის და გადახდისუნარიანობის გარანტიით. ამასთან ერთად, კომერციულ ბანკს უფლება აქვს აწარმოოს საბანკო ოპერაციები მხოლოდ საკუთარი რესურსების ფარგლებში.

ამ ოპერაციების ხასიათი მკაცრად არის დამოკიდებული ბანკის სარესურსო ბაზის თვისობრივ შემადგენლობაზე. მაგალითად, ბანკს, რომლის რესურსებს მხოლოდ მოკლევადიანი ხასიათი აქვს, არ შეუძლია აწარმოოს გრძელვადიანი ოპერაციები. აქედან გამომდინარე, საბაზრო პირობებში, კომერციული ბანკის რესურსების მოცულობა და თვისობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და მიმართულებებს. ამასთან დაკავშირებით, სარესურსო ბაზის ფორმირების, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციის და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხები მეტად აქტუალურნი ხდებიან ბანკის საქმიანობაში.

კომერციული ბანკის რესურსები შედგება ბანკის საკუთარი კაპიტალისა და ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დაბრუნების საფუძველზე მოზიდული ფულადი სახსრებისაგან, რომელთა ფორმირებას ბანკი ახდენს პასიური ოპერაციების გატარების შედეგად და რომლებიც ერთობლივად გამოიყენება ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად.

ამგვარად, კომერციული ბანკის რესურსები მათი შექმნის ხერხის მიხედვით შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: საკუთარი კაპიტალი და მოზიდული კაპიტალი. საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს სახსრები, რომლებიც უშუალოდ ბანკს ეკუთვნის მისი საქმიანობის პერიოდში. მოზიდული სახსრები კომერციულ ბანკში დროებითი ხასიათისაა. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ელემენტებია აგრეთვე საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები, გაუნაწილებელი

მოგება და სხვა საკუთარი წყაროები, რომლებიც ერთად ქმნიან პირველი დონის კაპიტალს, ანუ ძირითად კაპიტალს და აგრეთვე მეორე დონის კაპიტალის ელემენტები, ანუ დამატებითი კაპიტალი, რომლებსაც ნაკლებად მუდმივი ხასიათი აქვს, მაგრამ ასევე გამოიყენება გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. აკუმულაციის მეთოდის მიხედვით მოზიდული თანხებიდან შეიძლება გამოვყოთ დეპოზიტები და სხვა სესხის ხასიათის მქონე, ბანკის მიერ საკუთარი ინიციატივით ბანკთაშორის ბაზარზე შეძენილი რესურსები.

კომერციული ბანკების რესურსების სტრუქტურაში დიდი წილი მოზიდულ რესურსებზე მოდის. ამით განსხვავდება კომერციული ბანკი სხვა ეკონომიკური სუბიექტებისაგან. კონკრეტული კომერციული ბანკის რესურსების სტრუქტურა თავისი თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს როგორც სხვა კომერციული ბანკების, ისე მთელ რეგიონში რესურსების სტრუქტურისაგან. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ბანკის ფუნქციონირების პერიოდი, მისი საწესდებო კაპიტალის სიდიდე, საბანკო ლიცენზიით გათვალისწინებული ოპერაციები, კლიენტურის რაოდენობა და ხარისხი, საკრედიტო სფეროში ბანკის პოლიტიკა, საფინანსო ბაზრებზე მონაწილეობა და ბოლოს თვით საბანკო რესურსების ბაზრის მდგომარეობა.

სარესურსო ბაზის ფორმირების მიზნით ფულადი თანხების მოზიდვა კომერციულ ბანკში სხვადასხვა წყაროებიდან მუდმივად მიმდინარეობს, პრაქტიკულად ყოველდღე. ამასთან, ბანკის რესურსების აბსოლუტური ზომა დღის შედეგების მიხედვით შეიძლება არ შეიცვალოს და პირიქით, შემცირდეს კიდევ, იმდენად, რამდენადაც ბანკში მიმდინარეობს მუდმივად საბანკო ვალდებულებების დაფარვა, რომლებიც დაკავშირებულია გადახდის ვადის დადგომასთან ან შეანაზრეთა მხრიდან ანაზრების გატანასთან, სამეურნეო სუბიექტებისათვის ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერასთან და სხვა მიმდინარე ოპერაციებთან, რაც ბანკის პასივების შემცირებას იწვევს. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ რესურსების მოცულობა მუდმივი სიდიდეა, ყოველდღიური ცვლილება საანგარიშო თვის განმავლობაში თანაზრდება და საბოლოო ჯამში აღწევს გარკვეულ ფარდობითად მუდმივ დონეს.

ბანკის საკუთარი კაპიტალი, ზოგადი განსაზღვრით არის ბანკის ქონება, რომელიც ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულია. ეს არის საბანკო რესურსების

განსაკუთრებული ფორმა. მას მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი და ფუნქციონალური დატვირთვა აქვს, წარმოადგენს ნებისმიერი კომერციული ბანკის შექმნის და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას. მასზეა დამოკიდებული კომერციული ბანკის მთელი საქმიანობა მისი არსებობის პირველი დღიდან. მიუხედავად საკუთარი კაპიტალის მცირე წილისა საბანკო რესურსების მთელ მოცულობაში, რომელიც დაახლოებით 17%-ს შედაგენს, იგი ასრულებს მთელ რიგ სასიცოცხლო ფუნქციებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ საკუთარი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს და ხელს უწყობენ ბანკის ნორმალურ ფუნქციონირებას და მის შემდგომ განვითარებას.

გამონაკლისს წარმოადგენენ ახლად შექმნილი კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობა დეპოზიტების მოზიდვის სფეროში საწყის სტადიაზე იმყოფება და აგრეთვე საშულო და მცირე ბანკების უმრავლესობა, რომელთა საერთო რესურსებში საკუთარი კაპიტალის წილი მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანად რეგიონში შექმნილ დონეს. მცირე ბანკების მიერ საკუთარი კაპიტალის შედარებით მაღალი დონის შენარჩუნება უპირველეს ყოვლისა დიდი ალბათობით იწვევს კრიზისული სიტუაციების შექმნას მისგან გამომდინარე შედეგებით.

თანამედროვე საბანკო სისტემაში, თეორიულად, უნაღდო ბრუნვის განვითარების წყალობით, არსებობს თავდაპირველად შექმნილი დეპოზიტის ერთი ბანკიდან მეორეში უსასრულოდ გადატანის შესაძლებლობა, რასთანაც არის დაკავშირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის უსასრულო ზრდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესმა დეპოზიტების მულტიპლიკაციის (ერთი ბანკიდან მეორეში სახსრების ჯაჭვური გადატანა) და კრედიტის ექსპანსიის სახელწოდება მიიღო საბანკო სისტემაში დეპოზიტების და კრედიტის პირდაპირ შეზღუდვას აუცილებელი რეზერვი ემსახურება, რომელსაც ცენტრალური ბანკი აწესებს.

როგორც ცნობილია, ბანკის მიერ დეპოზიტების მთლიანად კრედიტის სახით გაცემა შეუძლებელია; მან დეპოზიტის გარკვეული ნაწილი (20%) რეზერვის სახით უნდა შეინახოს ბანკში. თუ დავუშვებთ, რომ სავალდებულო რეზერვი არ არსებობს, მაშინ თეორიულად დეპოზიტის მულტიპლიკაციის და კრედიტის ექსპანსიები უსასრულო შეიძლება იყოს. პირიქით, თუ დაუშვებთ, რომ რეზერვის ნორმა 100%-ია, მაშინ დეპოზიტის მულტიპლიკაცია (ანუ მისი კრედიტის სახით გაცემის ალბათობა)

ნულის ტოლდია. დეპოზიტის (ან კრედიტის) მულტიპლიკატირების მაქსიმალური თანხის ან ზღვარის მათემატიკური ფორმულა ასეთია:

$$D = D_0 \times 1/R \quad \text{სადაც}$$

D – არის დეპოზიტის მაქსიმალური თანხა, რომელიც საბანკო სისტემაში შეიძლება შეიქმნას.

D_0 – საწყისი დეპოზიტი.

R – დეპოზიტის ერთეულზე ლიკვიდობის რეზერვი (მაგ. თუ ლიკვიდობის რეზერვი 20%-ია, მაშინ $R = 0,2$).

დეპოზიტის მულტიპლიკაციის კონცეფცია და კრედიტის ექსპანსიები ფულადი ბრუნვის პოზიციებიდან ხსნის შემდეგ ეკონომიკურ აუცილებლობას: იღებს არ დეპოზიტს, ყოველი კომერციული ბანკი ვალდებულია მისი გარკვეული ნაწილი ლიკვიდობის რეზერვის სახით ჰქონდეს შენახული, რათა კლიენტის მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულების საშუალება ჰქონდეს, ამრიგად ბანკში მობილიზებული ფულადი სახსრების წყაროების ერთობლიობა კრედიტის გასაცემად და სხვა (ბანკისათვის მომგებიანი) აქტიური ოპერაციების შესასრულებლად არ შეიძლება მთლიანად თავისუფალი იყოს. უცხოეთის პრაქტიკაში ლიკვიდობის საერთო რეზერვი პირველად და მეორად რეზერვად იყოფა.

ლიკვიდობის პირველადი რეზერვი, როგორც ბანკის ლიკვიდობის მთავარი წყარო, ისე განიხილება. ამასთან საბალანსო ანგარიშებაში პირველი რეზერვის როლში ფიგურირებენ აქტივები, რომლებიც აისახებიან მუხლში: `ნაღდი ფული და სხვა ბანკების დავალიანება`. ესენია: სახსრები, სავალდებულო სარეზერვო ანგარიშებზე, სხვა კომერციულ ბანკებში, სახსრები საკორესპოდენტო ანგარიშებზე, ანაზრები, ნაღდი ფული სეიფში და ჩეკები, ასევე სხვა საგადასახადო დოკუმენტები ინკასირების პროცესში. პირველადი რეზერვების წილის შეფასება ხდება ნაღდი აქტივების ანაზრების თანხებთან ან ყველა აქტივების თანხებთან შედარებით.

ლიკვიდობის მეორადი რეზერვებია: მაღალლიკვიდური შემოსავლიანი აქტივები, რომლებიც მინიმალურ ვადაში და დანაკარგების უმნიშვნელო რისკით შეიძლება ნაღდ საშუალებებად გადავაქციოთ. მათ მიეკუთვნება ის აქტივები, რომლებიც ჩვეულებრივ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს და ზოგიერთ შემთხვევაში სასესხო ანგარიშებზე სახსრებს წარმოადგენენ. მეორადი რეზერვების ძირითადი დანიშნულებაა იყოს პირველადი რეზერვების შევსების წყარო. აშშ-ს

კომერციული ბანკები მეორადი რეზერვების სახსრების წილის შესაფასებლად, 5 წლამდე დაფარვის ვადით ფასიანი ქაღალდების თანხას, ბანკის აქტივების საერთო თანხას უფარდებენ.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალს ასახავს ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდისა და ლიკვიდობის რეზერვის სხვაობა. კომერციული ბანკის ლიკვიდობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელ რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდობის რეზერვის დონეზეა დამოკიდებული.

ლიკვიდობის რეზერვის საბანკო რეგულირების მნიშვნელოვანი კომპონენტია ნაღდი ფულის უნარიანი მართვა, სალაროს მინიმალურად დასაშვებ დონეზე შენარჩუნების მიზნით და ამავე დროს ოპერაციების მომგებიანობის უზრუნველყოფისათვის. ნაღდი ფულის მართვა ბანკის მიერ მრავალი გაანგარიშების შესრულებას და მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ანგარიშების შედგენას გულისხმობს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის საერთო დონეზე ობიექტურ ზემოქმედებას ახდენს ფაქტების შემდეგი ერთობლიობა: ბანკში მობილიზებული სახსრების წყაროების საერთო სიდიდე, ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი აუცილებელი რეზერვების დონე, აუცილებელი რეზერვების გამოყენების რეჟიმი, როდესაც ამ რეზერვების კომერციული ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად გამოყენება დასაშვებია, საერთო თანხა და ბანკს ვალდებულებების სტრუქტურა.

ბანკის საკრედიტო პოტენციალის სახსრების ეფექტურობა მიიღწევა თუ ერთდროულად ლიკვიდობის აუცილებელი მინიმუმია უზრუნველ-ყოფილი; საკრედიტო პოტენციალის სახსრების მთელი ერთობლიობა გამოიყენება; საკრედიტო პოტენცილზე მაქსიმალურად მაღალი მოგება მიიღწევა.

კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალის ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება დამცავი ფუნქცია, ოპერატიული ფუნქცია და მარეგულირებელი ფუნქცია. დამცავი ფუნქცია კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის ძირითად მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. იგი ფაქტიურად მის ძირითად თვისებას წარმოადგენს.

საკუთარი კაპიტალი მუდმივი ხასიათის გამო წარმოადგენს მეანაბრეთა და კრედიტორთა “დაცვის ძირითად საშუალებას”, რომელთა შენატანებით არის ბანკის ძირითადი აქტივების მნიშვნელოვანი წილი დაფინანსებული. იგი წარმოადგენს

თავისებურ “უსაფრთხოების ღვედს”, რომელიც საშუალებას იძლევა ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში დანაკარგების ანაზღაურებისა.

საბანკო პრაქტიკაში საკუთარი კაპიტალი განიხილება როგორც სიდიდე, რომლის ფარგლებშიც ბანკი პასუხისმგებელია თავისი მოვალეობების შესასრულებლად. ამავდროულად, საკუთარი კაპიტალი იცავს ბანკს გაკოტრებისაგან. შეუქცევადი ხასიათის გამო იგი საშუალებას აძლევს ბანკს განახორციელოს საბანკო ოპერაციები გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ზარალის წარმოქმნის შემთხვევაშიც და ახდენს მიმდინარე დანაკარგების კომპენსაციას იმ დრომდე, ვიდრე ბანკის ხელმძღვანელობა არ მოაგვარებს შექმნილ პრობლემებს. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მას ადარებენ “ამორტიზატორს”, “შავი დღის ფულს” და ბოლოს “თავდაცვის ბოლო ხაზს”.

ბანკს, რომელიც ახალი გახსნილია, მუშაობის დასაწყებად სჭირდება აუცილებელი რესურსები, ისეთი პირველი რიგის ხარჯების გასაწევად, როგორებიცაა: შენობის შეძენა ან იჯარით აღება, აუცილებელი ტექნიკის, მოწყობილობის შეძენა და ა.შ. სასტარტო საშუალებების როლში, ამგვარი ხარჯების დასაფარად გამოიყენება ბანკის შექმნის პერიოდში არსებული საკუთარი კაპიტალი.

ზრდის პროცესში ნებისმიერი მოქმედი ბანკი დაინტერესებულია დაამყაროს თავის კლიენტურასთან გრძელვადიანი ურთიერთობები და მასთან ერთად მოიზიდოს ახალი გადახდისუნარიანი კლიენტურა. ეს აიძულებს ბანკს გააგრძელოს მუშაობა საბანკო მომსახურების სპექტრის გაფართოების მიმართულებით, ხარისხის გაუმჯობესების, მოწინავე საბანკო ტექნოლოგიების დანერგვისათვის და აგრეთვე სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებათა (კერძოდ ფილიალების ქსელის შექმნა, როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ) გასატარებლად.

ბაზის ფინანსურ ბაზას და აგრეთვე მისი რისკისაგან დაცვის ფაქტორს, დაკავშირებულს ორგანიზაციულ ზრდასთან და ოპერაციების ჩატარებასთან მისი საკუთარი პოლიტიკა წარმოადგენს.

კომერციული ბანკის მარეგულირებელი ფუნქცია ერთის მხრივ დაკავშირებულია საზოგადოების განსაკუთრებულ დაინტერესებასთან კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირებით და მთელი საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებით და მეორეს მხრივ ეკონომიკური საქმიანობის ნორმებით, რაც საშუალებას გვაძლევს გავაკონტროლოთ ბანკის საქმიანობა. კომერციული ბანკის

საკუთარი კაპიტალი იცავს ბანკს ფინანსური არამდგარდობისაგან და დიდი რისკებისაგან, გამოდის რა ბანკის საქმიანობის რეგულატორის როლში, კერძოდ ხელს უწყობს საბანკო აქტივების თანაბარ, მოწესრიგებულ ზრდას და პრაქტიკულად ყველა პასიური ოპერაციების მოცულობის რეგულირებას.

ბანკის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების სრულად გადახდილი ელემენტების რაოდენობას, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუშაობის მდგომარეობას. ამა თუ იმ თანხის ბანკის საკუთარ კაპიტალში ჩასართველად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი უნარი შეასრულონ დამზღვევი ფონდის როლი გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად და ამით საშუალება მისცენ ბანკს შეასრულოს მიმდინარე ოპერაციები. მაგრამ საკუთარი კაპიტალის ყველა ელემენტი ერთნაირი ხარისხით არ არის ამ ფუნქციის მატარებელი. ბევრ მათგანს გააჩნია მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც გავლენას ახდენს ელემენტის უნარზე დაფაროს საგანგებო და გაუთვალისწინებელი ხარჯები. ამ გარემოებამ განაპირობა ბანკის საკუთარი კაპიტალის სტრუქტურულიდან ორი დონის გამოყოფის აუცილებლობა: ძირითადი (საბაზო) კაპიტალი, რომელიც პირველი დონის კაპიტალს განეკუთვნება და დამატებითი კაპიტალი, ანუ მეორე დონის კაპიტალი.

დამატებითი კაპიტალის შემადგენლობაში შეჰყავთ ზოგიერთი საშუალებები განსაზღვრული შეზღუდვებით, რომლებიც ნაკლებად მუდმივი ხასიათის მატარებლები არიან და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენებიან. ასეთი კაპიტალის ღირებულება დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის.

კერძოდ, ძირითადი კაპიტალის წყაროებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- სააქციო კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციების ნაწილში და აგრეთვე იმ აქციების ნაწილში, რომლებიც კუმულატიურს არ განეკუთვნებიან;
- კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმითაა შექმნილი;
- კომერციული ბანკის ფონდები (სარეზერვო და სხვა), რომლებიც ფორმირებულნი არიან გასული წლების და მიმდინარე წლის მოგების ხარჯზე (აიდიტორული ორგანიზაციის მიერ დამოწმებული მონაცემების საფუძველზე);

- ბანკის ემისიური შემოსავალი, სააქციო საზოგადოების ფორმით შექმნილი;
- ბანკის ემისიური შემოსავალი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით შექმნილი;
- გასული წლების და მიმდინარე წლების მოგება, რომელიც შემცირებულია შესაბამის პერიოდში განაწილებული თანხების სიდიდით და რომლის მონაცემები დამოწმებულია აუდიტორული ორგანიზაციების მიერ, ანუ გაუნაწილებელი მოგება;

ბანკის ძირითადი კაპიტალი მოიცავს აგრეთვე ფონდებს, რომელთა გამოყენება არ ამცირებს ბანკის ქონებას.

ბანკის დამატებითი კაპიტალის წყაროებს წარმოადგენენ:

- გადაფასების შედეგად მიღებული ქონების ღირებულების დანამატი;
- რეზერვის ნაწილი ანაზღაურებულ შესაძლებელი დანაკარგების შემთხვევაში;
- მიმდინარე წლის ფორმირებული ფონდები, მიმდინარე წლის მოგება;
- სუბორდინირებული კრედიტები;
- პრივილეგირებული აქციები კუმულატიური ელემენტით.⁴

დამატებითი კაპიტალის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს გასული წლის მოგება აუდიტორულ დამოწმებამდე.

კომერციული ბანკის შექმნის საწყის ეტაპზე მისი საკუთარი კაპიტალის ერთადერთ წყაროს საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს. დანარჩენი წყაროები ძირითადად ბანკის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება. მათ წარმოშობასთან ერთად საწესდებო კაპიტალი ბანკის საკუთარი კაპიტალის ნაწილად გადაიქცევა, მაგრამ ისევ მის ძირითად ელემენტად რჩება. საწესდებო კაპიტალი ქმნის რა საკუთარი კაპიტალის ბირთვს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის საქმიანობაში. სწორედ ის განსაზღვრავს ქონების მინიმალურ მოცულობას, გარანტირებულს ხდის ბანკის მენაზრეთა და კრედიტორთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ბანკის ვალდებულებებს. სწორედ საწესდებო კაპიტალი აძლევს შესაძლებლობას კომერციულ ბანკს გააგრძელოს საბანკო ოპერაციები გაუთვალისწინებელი მსხვილი ხარჯების შემთხვევაში და გამოიყენება მათ დასაფარავად იმ შემთხვევაში, თუ ბანკის სარეზერვო ფონდები ამ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდება. ბანკები სხვა

⁴ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.

კომერციული დაწესებულებებისაგან განსხვავებით ინარჩუნებენ თავის გადახდის-უნარიანობას მანამ, სანამ ხელუხლებელია მათი საწესდებო კაპიტალი.

კომერციული ბანკები თავის საქმიანობის განმავლობაში მოგების დაგროვებასთან ერთად მის ხარჯზე ქმნიან ბანკის საკუთარი კაპიტალის სხვა წყაროს – სხვადასხვა ფონდებს: სარეზერვო ფონდს, სპეციალური დანიშნულების ფონდებს, დაგროვების ფონდებს და სხვა. აღნიშნული ფონდები შედის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში ბანკის წლიური საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე, რაც დამტკიცებულია აუდიტორული ორგანიზაციის მიერ.

სარეზერვო ფონდის დანიშნულებაა იმ ხარჯების დახარჯვა და დანაკარგების ანაზღაურება, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიმდინარე საქმიანობის დროს და ამგვარად ემსახურება ბანკის მუშაობის სტაბილურობას. სარეზერვო ფონდის მოცულობა საწესდებო კაპიტალის 15%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სპეციალური დანიშნულების ფონდები და დაგროვების ფონდები უზრუნველყოფენ ბანკის მწარმოებლურ და სოციალურ განვითარებას. მიზნობრივ დანიშნულებათა შესაბამისად ისინი გამოიყენება ახალი სიმპლავრების შესაძენად (გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერები და სხვა) ბანკის ზრდის პერიოდში ანუ ასრულებენ ბანკის საკუთარი კაპიტალის ოპერატიულ ფუნქციას, აგრეთვე მიმართულნი არიან კოლექტივის სოციალური კეთილდღეობისაკენ, ბანკის თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისაკენ, დახმარების გაწევისაკენ და სხვა.

ბანკის საკუთარი კაპიტალის განსაკუთრებულ შემადგენელ ნაწილს სადაზღვევო რეზერვები წარმოადგენს, რომლებიც იქმნება ბანკში მისი მდგრადი ფუნქციონირების შესანარჩუნებლად კონკრეტული საბანკო ოპერაციების ჩატარებისას. ეს არის რეზერვი გაუფასურებული ფასიანი ქაღალდების ანაზღაურება შესაძლო დანაკარგების დასაფარავად. ასეთი რეზერვების ფორმირება ატარებს აუცილებელ ხასიათს და იმყოფება კომერციული ბანკის მკაცრი კონტროლის ქვეშ. ამ რეზერვების დანიშნულებაა ბანკის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემის შემთხვევაში თანმდევი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება და კლიენტების მიერ საბანკო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალის დაფარვა.

მეორე დონის კაპიტალის როლს შეიძლება ასრულებდეს ისეთი ჰიბრიდული ინსტრუმენტი, როგორცაა სუბორდინირებული კრედიტი. ის მიეწოდება ბანკს

არანაკლებ 5 წლის ვადით და კრედიტორს მისი დაბრუნება მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია, ხოლო ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში სხვა კრედიტორების მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილების შემდეგ.

კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის ფუნქციონირების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმ კომპონენტების რაოდენობასა და ხარისხზე, რომლებიც ახდენენ მისი წყაროების ფორმირებას.

კომერციული ბანკის ბალანსზე რიცხული საკუთარი კაპიტალი, როგორც ძირითადი და დამატებითი კაპიტალების ერთობლიობა წარმოადგენს ე.წ. კაპიტალ-ბრუტოს, კომერციული ბანკის საკუთარ კაპიტალს.

ორდონიანი სტრუქტურის დამახასიათებელი თვისებაა მის შემადგენელ ნაწილებს შორის ზღვრული თანაფარდობის დადგენა. კერძოდ, ბანკის ძირითადი კაპიტალი საკუთარი კაპიტალის საერთო მოცულობის 50%-ს მაინც უნდა შეადგენდეს, ხოლო დამატებითი კაპიტალი, შესაბამისად ძირითად კაპიტალს არ უნდა აღემატებოდეს. ამის გარდა, მეორე დონის კაპიტალის ელემენტების არსებობა დასაშვებია მხოლოდ ძირითადი კაპიტალის გარკვეული მოცულობით.

აღნიშნული ვითარება განაპირობებს ბანკის წმინდა საკუთარი კაპიტალის გაანგარიშებას მიმდევრობით, სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი _ ეს არის წმინდა ძირითადი კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა. ბანკში არსებული ძირითადი კაპიტალის წყაროები, როგორც უკვე ავღნიშნეთ შეადგენენ ბანკის საკუთარი კაპიტალის პირველ დონეს, გამოირიცხება არამატერიალური აქტივები, საკუთარი აქციები, რომლებიც ბანკის მიერაა აქციონერებისაგან გამოსყიდული, წინა წლების დაუფარავი ხარჯები, მიმდინარე წლის ზარალი.

მეორე ეტაპი _ დამატებითი კაპიტალის რეალური სიდიდის განსაზღვრა (შეზღუდვათა გათვალისწინებით), რომელიც ბანკის წმინდა საკუთარი კაპიტალის ანგარიშში შევა. ბანკში დამატებითი კაპიტალის წყაროების საერთო რაოდენობა თანაბრდება წმინდა ძირითადი კაპიტალის მიღებულ მოცულობასთან. თუ ეს საერთო რაოდენობა ნაკლები ან ტოლი აღმოჩნდება წმინდა ძირითად კაპიტალისა, იგი მთლიანად შევა დამატებითი კაპიტალის ანგარიშში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა შემცირდეს წმინდა ძირითადი კაპიტალის მოცულობამდე, რომლის გაანგარიშება ჩატარდა პირველ ეტაპზე. თუ წმინდა ძირითადი კაპიტალის მიღებულ

სიდიდეს აღმოაჩნდება ნულოვანი ან უარყოფითი მნიშვნელობა, დამატებითი კაპიტალის არცერთი წყარო არ შევა ბანკის საკუთარი კაპიტალის ანგარიშში. ამგვარად, მიიღწევა ბანკის საკუთარი კაპიტალის განსხვავებულ ნაწილებს შორის ზღვრული თანაფრდობა: დამატებითი კაპიტალის ელემენტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს წმინდა ძირითადი კაპიტალის 100%-ს.

მესამე ეტაპი – წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა. წინა ეტაპებით განსაზღვრული წმინდა ძირითადი კაპიტალის და დამატებითი კაპიტალის სიდიდეთა ჯამიდან გამორიცხავენ არშემდგარი რეზერვის სიდიდეს. ამ რეზერვს მიეკუთვნება: ანაბრებზე შესაძლებელი დანაკარგები, რისკის 2-4 ჯგუფები, ფასიანი ქაღალდების გაუფასურება, 30 დღეზე მეტი დროით გადავადებული დებიტორული დავალიანება, ბანკის აქციებში შენატანები (მონაწილეობის წილი, რომლებიც ინვესტირებისთვისაა შეძენილი, სუბორდინირებული კრედიტები და სხვა განყენებული საკუთარი სახსრები.

ბანკის წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდე დადებითი უნდა იყოს. მისი უარყოფითი მნიშვნელობა მოწმობს იმას, რომ კომერციული ბანკი ფაქტიურად არ ფლობს თავისუფალ საკუთარ რესურსებს, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად ბანკი მხოლოდ მოზიდულ რესურსებს იყენებს. ამის შედეგად მნიშვნელოვანდ მცირდება კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა, რასაც მოსდევს კრიზისული სიტუაციების დადგომისთანავე სერიოზული სირთულეები და დამატებითი გართულებები.

ამგვარად, წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდე წარმოადგენს ერთგვარ ბარომეტრს, რომელიც ახასიათებს კომერციული ბანკის ფინანსურ მდგრადობას და სტაბილურობას.

მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, მათ შორის განსხვავება არსებობს და მისი დანახვა აუცილებელია. კერძოდ, ხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დროული დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობის დროებითი არარსებობის შემთხვევაში ბანკს შეუძლია არ დააბრუნოს დეპოზიტი დღეს და გადაიხადოს ჯარიმა დაყოვნებისათვის. თუმცა, იგი რჩება გადახდისუნარიანად, ვინაიდან სახსრების შემოსვლის შემდეგ შეასრულებს ვალდებულებებს

და ადადგენს ლიკვიდობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნარიან ბანკად იგულისხმება ის ბანკი, რომელსაც შეუძლია ადრე თუ გვიან შეასრულოს ვალდებულებები. ლიკვიდურია ბანკი, რომელიც მოცემული მომენტისათვის ასრულებს ყველა ვალდებულებას.⁵

თუ შევაჯამებთ, ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, მოცემული თარიღისათვის (მაგალითად: ხვალ, თვის ბოლოს ან წლის ბოლოს) სრულად შეასრულოს იმ პერიოდისათვის ვადადამდგარი ვალდებულებები, ხოლო გადახდისუნარიანობა – ესაა მისი შესაძლებლობა, იმავე ვადაში სრულად გაისტუმროს ყველა ვალდებულება, ანუ მისი ბალანსის აქტივები მეტია ვალდებულებებზე (პასივებს მინუს კაპიტალი). როგორც ვხედავთ, შეიძლება მოცემულ მომენტში ბანკი იყოს არალიკვიდური, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს მის არაგადახდისუნარიანობას, ისევე როგორც დღეს არსებული ლიკვიდობა არ ნიშნავს, რომ ბანკი გადახდისუნარიანია.

1.2. ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები სამი ტიპისაა: მაკროეკონომიკური, ქვეყნის შიდა და შიდა საბანკო. ბუნებრივია, მათი გავლენა როგორც მთლიანად საბანკო სისტემის, ისე კონკრეტული კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითიც.

1) მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე, მიეკუთვნება: ვითარება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე და რეგიონის პოლიტიკურ- ეკონომიკური მდგომარეობა. დავახასიათოთ ისინი მოკლედ:

• ვითარება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნების კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახ-დისუნარიანობაზე, ვინაიდან ეს ბაზრები ითვლებიან საკრედიტო რესურსების, განსაკუთრებით – ბანკთაშორისი კრედიტების მსხვილ კრედიტორებად. საერთაშორისო საფინანსო ბაზრები მეტად მგრძობ-ბიარენი არიან მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებისადმი, ხოლო, თავის მხრივ, ისინი გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნებში

⁵ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.197

საბანკო კრედიტების ფასსა და ხელმისაწვდომობაზე;

- რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გეოპოლიტიკური ვითარება, ბუნებრივია, შეიძლება გახდეს როგორც დადებით, ისე მკვეთრად ნეგატიური გავლენის მქონე ქვეყნის კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

2) ქვეყნის შიდა ფაქტორებია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე, საბანკო სისტემისა და ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების ხარისხი, ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მოქნილობა და ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციის ქმედუნარიანობა. მოკლედ დავახასიათოთ ისინი:

- ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი – მისი მკვეთრი ცვლილებები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც ზოგადად გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დონეზე. ამის კარგი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების ნეგატიური გავლენა საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე, როცა მხოლოდ აგვისტოში საბანკო სისტემის ფულადი სახსრები, ანუ ლიკვიდური აქტივები, 26%-ით შემცირდა, სულ რაღაც სამ თვეში ბანკების აქტივებმა 12%-ით, ანუ 1 მლრდ ლარით იკლო, რაც მეტწილად ლიკვიდური აქტივების ხარჯზე მოხდა;

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე, როგორც საბანკო სისტემის კონკურენტი ფულადი კაპიტალის ბაზარზე, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, და მოქნილ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვისას;

- საბანკო სისტემისა და ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების რესურსების ხელმისაწვდომობასა და ფასზე. გავიხსენოთ, რომ ერთი ან რამდენიმე კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემამ შეიძლება სხვა, ჯანსაღ ბანკებსაც შეუქმნას კრიზისული მდგომარეობა;

- ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მოქნილობის გავლენა კარგად გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ საქართველოს ეროვნული ბანკის როლს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას. რომ არა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები, ქართულ

კომერციულ ბანკებს საკუ- თარი ძალებით ძალიან გაუჭირდებოდათ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა. კერძოდ, აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა განაცხადა თავისი სავალუტო რეზერვების გახსნის მზადყოფნის შესახებ საბანკო სისტემის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და დაიწყო ერთკვირიანი რეფინანსირების სესხების გაცემა კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივ შემცირებასთან ერთად. დროული და ეფექტიანი გამოდგა კომერციული ბანკების სავალდებულო ლიკვიდობის ნორმატივის 30%-დან 20%-მდე, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ჯერ 13%-დან 10%-მდე, ხოლო სექტემბრის ბოლოს 5%- მდე შემცირება, რაც შენარჩუნებულ იქნა 2010 წლის აპრილამდე;⁶

- ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციის ქმედუნარიანობა დიდ როლს ასრულებს კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის, გამომდინარე მისი ერთ-ერთ- თი მთავარი ფუნქციიდან. ცენტრალური ბანკები აწესებენ სპეციალურ სავალდებულო ნორმატივებს, რომლებიც ავალდებულებენ კომერციულ ბანკებს, შექმნან ლიკვიდური აქტივების მინიმალური დონე (მაგალითად, ზემოაღნიშნული სავალდებულო ლიკვიდობის ნორმატივი).

3) შიდა საბანკო ფაქტორები ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია და გულისხმობს კონკრეტული ბანკის მდგომარეობას, კერძოდ: ადეკვატური კაპიტალი, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, პასივების სტრუქტურა და ხარისხი, აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა, ბანკის იმიჯი და მოქნილი მენეჯმენტი. მათ შორის:

- ადეკვატური კაპიტალი, გამომდინარე მისი ფუნქციებიდან, განსაკუთრებით დაცვითი ფუნქციიდან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დონეს. ადეკვატური კაპიტალი, მისი სტრუქტურა, რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში უზრუნველყოფს პრობლემების მინიმუმზებაციას ლიკვიდობის კრიზისის დროს;

- აქტივების სტრუქტურა და ხარისხი არის მთავარი ინდიკატორი, რომლის გაანალიზებაც გვადლევს პირველად ინფორმაციას კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემურობის შესახებ.⁷

⁶ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.200

⁷ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ. 199

- პასივების სტრუქტურა და ხარისხი, ანუ მისი რესურსების მდგომარეობა, გვიჩვენებს, თუ რამდენად სტაბილური და გრძელვადიანია მათი რესურსები, რამდენია მათში მოთხოვნამდე, ანუ არასტაბილური დეპოზიტების წილი, აქვს თუ არა სუბორდინირებული ვალდებულებები და როგორია მისი კაპიტალური ბაზა.

- ბანკის იმიჯი _ რაც უფრო მაღალი რეიტინგი აქვს ბანკს, მით უფრო იზრდება მისი შესაძლებლობები, მიიღოს რესურსი სასურველ ვადაში და საჭირო მოცულობით, როგორც დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, ისე მოთხოვნისთანავე. გამომდინარე აქედან, ბანკებ-მა უნდა იზრუნონ საკუთარი რეპუტაციისა და იმიჯის ზრდაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე;

- მოქნილი მენეჯმენტი, ანუ კვალიფიციური დირექტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკუთარი გამოცდილებით და ბანკში არსებული მოქ - ნილი პროცედურებით არის აუცილებელი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვას და მისი გადახდის - უუნარობის თავიდან აცილებას. ყველაზე მთავარი მაინც არის ის, რომ უმაღლეს მენეჯმენტს სრულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ბანკის ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი სისტემების არსებობის აუცილებლობა. როგორც ვხედავთ, საბანკო სისტემისა და კონკრეტული კომერციული ბანკის ლიკვიდობის დონესა და გადახდისუნარიანობაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის არის როგორც ობიექტური (მაკროეკონომიკური და ქვეყნის შიდა), ისე სუბიექტური (შიდა საბანკო) ფაქტორები. ბანკის ხელმ - მღვანელობას ხელთ უნდა ეპყრას ლიკვიდობაზე მოქმედი არა მარტო სუბიექტური ფაქტორების მართვის სადავეები, არამედ მზად უნდა იყოს ობიექტური ფაქტორების ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად მინიმალური დანაკარგებით, რასაც რეალურად ლიკვიდობის მართვა ეწოდება.⁸

1.3. ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

კომერციული ბანკი, თავის კლიენტებისაგან თავისუფალი თანხების მოსესხებით, ამ სახსრების თავისდროულად დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს იღებს თავის თავზე, ანუ მან ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრინციპები უნდა დაიცვას.

⁸ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.202

ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ლიკვიდურობის პირველად და მეორად რეზერვებად იყოფა. ლიკვიდურობის პირველი რეზერვი – განიხილება, როგორც ბანკის ლიკვიდურობის მთავრი წყარო. მას მიეკუთვნება სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე სახსრები, სხვა კომერციულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრები, ნაღდი ფული სალაროში და სეიფში, საგადასხადო საბუთები ინკასირების პროცესში.⁹ ლიკვიდურობის მეორადი რეზერვები – მაღალლიკვიდური შემოსავლიანი აქტივებია, რომლებიც მინიმალური შეფერხებით და დანაკარგების უმნიშვნელო რისკით შეიძლება ნაღდ ფულად გარდაიქმნას. მათ მიეკუთვნება ბალანსის ლიკვიდურობის მეთოდით დაჯგუფებისას აქტივებისა და პასივების შემდეგი სახე:

აქტივები:

- 1) პირველადი რეზერვები (ნაღდი ფული, რეზერვები ცენტრალურ ბანკში, სახსრების საკორესპონდენტო ანგარიშებზე);
- 2) დაბანდებები მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში (აქტივები, რომლებიც ნაღდი ფულის სახით ოპერატიულად შეიძლება იქნეს გარდაქმნილი);
- 3) მუხლები, რომლებიც მინიმალურ რისკთან არის დაკავშირებული და ლიკვიდურ აქტივებთან მიახლოებული;
- 4) კრედიტები, გაცემული სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებზე, კერძო პირებზე;
- 5) იმობილიზაცია-ინვესტიციები მოძრავ და უძრავ ქონებაზე.
- 6) პასივები:
- 7) დეპოზიტები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის კონტრაგენტების ყველა სახეობის ანაბრებს მოიცავს;
- 8) დეპოზიტები, რომლებიც ძირითადად ბანკში ვადების მიხედვით არის განთავსებული;
- 9) დანარჩენი მოზიდული სახსრები;
- 10) მუდმივი ფონდები და რეზერვები.

აქტივები, რომლებიც სამთავრობო ფასიანი ქაღალდების პორტფელს შეადგენენ, ხოლო ზოგჯერ სახსრებს სასეხო ანგარიშებზე (განასკუთრებით მოკლევადიანი

⁹ ლ.ქოქიაური, საბანკო საქმიანობის საფუძვლები 2010 გვ.123

სესხები). მეორადი რესურსების ძირითადი დანიშნულებაა პირველადი რესურსების შევსების წყაროს სახით გამოყენება.

კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმაზე და თვით ბანკის მიერ თავისთვის განსაზღვრული ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე არის დამოკიდებული. თითოეული კომერციული ბანკი ლიკვიდური სახსრების მინიმალური რეზერვების შექმნისა და თავისი ლიკვიდურობიდან, საიმედოობიდან, მომგებიანობიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო პოტენციალის უზრუნველყოფისაკენ მიისწრაფის.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის საერთო დონეზე ფაქტორების შემდეგი ერთობლიობა ახდენს ზემოქმედებას: ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდე, ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო სიდიდე, საკრედიტო პოტენციალის წყაროების სტრუქტურა და სტაბილურობა, ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე, ლიკვიდურობის მხარდასაჭერად მიმდინარე რეზერვების გამოყენების რეჟიმი, ბანკის ვალდებულებების საერთო თანხა და რეზერვები.

კომერციულ წარმატებებზე ორიენტირებული ბანკებისათვის საჭიროა კაპიტალის ბაზარზე მუშაობა, საწარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმების მუდმივი მოძიება არის აუცილებელი, რაც მდგრადი და ამავე დროს მოქნილი საბანკო სისტემის შექმნას მოითხოვს. აღნიშნულის განხორციელების მიზნით მთლიანი საკრედიტო-ფულადი მექანიზმის ხარისხობრივი დამუშავება და მისი მართვის სტრუქტურის გაუმჯობესება არის საჭირო.


ლიკვიდობის დაგეგმვა ლიკვიდობის პრობლემების პროგნოზირების ძირითადი კომპონენტია. კერძოდ, იგი მენეჯერებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მნიშვნელოვანი საკრედიტო გადაწყვეტილებები შედარებით პროგნოზირებადი მოვლენების დადგომამდე. ასეთ წინასწარ დაგეგმვას შეუძლია ფულადი სახსრევადადამდგარი ბის ხარჯის შემცირება დაფინანსების ოპტიმალური კომბინაციის განსაზღვრით, აგრეთვე ბანკისთვის საჭირო ჭარბი რეზერვების მინიმუმამდე დაყვანა. დაგეგმილი საშუალოვადიანი ოპერაციების შედეგი მთლიანად და თითოეული ვალუტით (ადგილობრივი ვალუტა, ევრო, სხვა ვალუტა) შეიძლება შეფასდეს პროგნოზების მიხედვით შევსებული დაფინანსების მატრიცის

საშუალებით.

ლიკვიდობის ხარჯი შეიძლება შეფასდეს სულ ცოტა ყოველ ექვს თვეში და გამოითვალოს რისკის ბონუსის მრუდით. ლიკვიდობის ხარჯი არის ბოლოდროინდელი სესხის დამატებითი გადასახდელი (რისკის ბონუსი) სრულ ვადიანობასთან თანხვედრილი შესაბამისი რეფინანსირებით. რისკის ბონუსის მრუდი შეიძლება იყოს სხვაობა, დაფინანსების რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, უკუგების მრუდსა და ყველაზე ლიკვიდური სვოპის უკუგების მრუდს შორის.

ლიკვიდობის ხარჯები არის პრემია, რომელიც ბანკმა უნდა გადაიხადოს მისი საკრედიტო რეიტინგიდან გამომდინარე. ეს ის ხარჯებია, რომლებიც უნდა დაეკისროს მომხმარებელს დაფინანსების პროცესში.

დიაგრამა 1.2.¹⁰



$$\text{ლიკვიდობის ხარჯი} = \sum_{i=1}^n (k \cdot X(i) \cdot (\text{პერიოდის დღეების რაოდენობა (i)}) \cdot r(i))$$

365

i : 1 . პერიოდი

$X(i)$ gap-ის მნიშვნელობა i . პერიოდში

k 0 ან 1, 0 თუ gap-ის მნიშვნელობა 0-ზე ნაკლებია

მოსალოდნელი დაფინანსების მატრიცის ვადიანობის სტრუქტურის ანალიზის შედეგად დადგენილი გაპ-ი დაკავშირებულია რისკის ბონუსის მრუდის ადეკვატურ წერტილებთან სტრესტესტების შესაბამისად, ისე, რომ განისაზღვროს ღია პოზიციის ლიკვიდობის რისკით განპირობებული რისკის მნიშვნელობა. შედეგები აჩვენებს ლიკვიდობის რისკის ცვლილებებს დაფინანსების ახალი სტრუქტურის შესაბამისად, რომელიც წარმოიქმნება ბანკის საბაზრო პოზიციის ცვლილების და დახურული

¹⁰

ლიკვიდობის სტრუქტურის ხარჯის გამო.

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის დაფინანსების ღია პოზიციის ლიკვიდობის ხარჯების სამომავლო ზრდის რისკი.

ლიკვიდობის კოეფიციენტები ბანკებმა აქტივების/დაფინანსების დივერსიფიკაციის სტრატეგიები უნდა შეუსაბამონ თავიანთი ბიზნესის ტიპს, საოპერაციო გარემოს, სადაც ისინი ფუნქციონირებენ, და პროდუქტების ტიპებსა და ბაზრებს, სადაც ისინი ეწევიან საქმიანობას. არსებობს რამდენიმე კოეფიციენტი, რომლის გამოყენებაც სასარგებლოა ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ყველაზე უფრო გავრცელებული კოეფიციენტები¹¹:

ცხრილი 1.1.¹²

ლიკვიდობის შეფასების კოეფიციენტები

კოეფიციენტის დასახელება	კოეფიციენტის გამოთვლა
მნიშვნელოვან დეპოზიტებზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	$\frac{\text{ფული} + \text{სავაჭრო ფასიანი ქაღალდები} + \text{მოკლევადიანი საბანკო მოთხოვნები}}{\text{მნიშვნელოვანი დეპოზიტების ჯამი}}$
	<ol style="list-style-type: none"> 1. ფული: სალაროში (ადგილობრივი და უცხოური ვალუტა) 2. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები 3. მოკლევადიანი საბანკო მოთხოვნები: 0–14-დღიანი ვადიანობის მქონე ეროვნული ბანკისა და საბანკო დეპოზიტები 4. მნიშვნელოვანი დეპოზიტი შეიძლება განისაზღვროს როგორც საზედამხედველო კაპიტალის პროცენტი
დამოკიდებულება საფინანსო დაწესებულებებზე	$\frac{\text{ფული} + \text{სავაჭრო ფასიანი ქაღალდები} + \text{მოკლევადიანი საბანკო მოთხოვნები}}{\text{საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული რესურსები}}$
ლიკვიდობის მგრძობელობა მომრავი აქტივებით დაფარული ადვილად გადინებადი ვალდებულებები	<p>ამ მიზნით ვალდებულებების კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ადვილად გადინებადია ისინი, ხოლო აქტივები კლასიფიცირდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი მათი მობილიზება.</p> <p>ლიკვიდობის მგრძობელობა = $\frac{\text{ადვილად გასხვისებადი აქტივები}}{\text{ადვილად გადინებადი ფულადი სახსრები}}$</p>

¹¹ როგორ უნდა შექმნას საშუალო სიდიდის ბანკმა აქტივ-პასივების მართვის საკუთარი სისტემა სახელმძღვანელო თბ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 2011 გვ.გვ.25-26

¹² როგორ უნდა შექმნას საშუალო სიდიდის ბანკმა აქტივ-პასივების მართვის საკუთარი სისტემა სახელმძღვანელო თბ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 2011 გვ.გვ.25-26

	<p>ადვილად მოდიფიცირებადი აქტივები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხელთ არსებული ფული და ანგარიშსწორების ანგარიშები 2. ბანკთაშორის ბაზარზე განთავსებული მოკლევადიანი სახსრები (14-დღიანი ვადიანობის მქონე) 3. სახაზინო ობლიგაციები და სამთავრობო ობლიგაციები (გარდა სახაზინო და კონსოლიდირებული სამთავრობო ობლიგაციებისა) <p>ადვილად გადინებადი ფულადი სახსრები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოთხოვნამდე დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშებზე არსებული თანხები 2. ვადიანი დეპოზიტები 3. ვალდებულებები გამოსყიდვის ხელშეკრულებებიდან მოკლევადიანი (14-დღიანი ვადიანობის მქონე) დეპოზიტები ბანკთაშორისი ბაზრიდან
ბანკის ინვესტიციების დაფარვის კოეფიციენტები	<p><u>აქციონერთა კაპიტალი მ</u></p> <p>ატერიალური აქტივები + არამატერიალური აქტივები + ბიზნესაქციები</p>
სესხების დაფარვა დეპოზიტებით	<p><u>დეპოზიტები</u></p> <p>სესხები</p>
ლიკვიდური აქტივებით უზრუნველყოფილი მოკლევადიანი ვალდებულებები	<p><u>ლიკვიდური აქტივები</u></p> <p>მოკლევადიანი ვალდებულებები</p> <p>ამ კატეგორიაში უნდა შედიოდეს მხოლოდ მაღალი ლიკვიდობის მქონე აქტივი</p>

ლიკვიდობის რისკის დონის შესაფასებლად საფინანსო ფირმების უმრავლესობა იყენებს სხვადასხვა მაჩვენებელს. ამ კუთხით არსებული ძირითადი მიდგომები შეიძლება კლასიფიცირდეს სამ ტიპად. ესენია: ლიკვიდური აქტივების მიდგომა, ფულადი სახსრების მიმოქცევის მიდგომა და ამ ორივეს კომბინაცია. ლიკვიდური აქტივების მიდგომის ფარგლებში ფირმა ინარჩუნებს ლიკვიდურ ინსტრუმენტებს საკუთარ ბალანსში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჭიროების შემთხვევაში. ამ მიდგომის ერთ-ერთი ვარიაციით, ფირმამ შეიძლება შეინარჩუნოს ვალდებულებებით დაუტვირთავი აქტივების ნაკრები (ჩვეულებრივი სამთავრობო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფილი

დაფინანსების მისაღებად გამოსყიდვის ხელშეკრულებებისა და სხვა უზრუნველყოფის საშუალებით (ამ თვალსაზრისით შესაბამისი მაჩვენებლები არის კოეფიციენტები).

ფულადი ნაკადების თანხვედრის მიდგომიდან გამომდინარე, ფირმა ცდილობს ფულის გადინება დაამთხვიოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ნაკადების შემოდინებას სხვადასხვა მოკლევადიანი პერიოდების მიხედვით.

კომბინირებული მიდგომა აერთიანებს ფულადი სახსრების დამთხვევის მიდგომას და ლიკვიდური აქტივების მიდგომას. ფირმა ცდილობს ფულის გადინება დაამთხვიოს თითოეულ პერიოდში ხელშეკრულებით განსაზღვრული ნაკადების შემოდინებისა და აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოდინების ჯამს, გამოსყიდვის ხელშეკრულებას ან სხვა უზრუნველყოფილ დაფინანსებას.

აქტივები, რომლებიც ყველაზე მეტად ლიკვიდურია, როგორც წესი, ითვლება უფრო ადრეულ პერიოდში, ხოლო ნაკლებად ლიკვიდური აქტივები გათვალისწინებულია შედარებით გვიან პერიოდებში. როდესაც ბანკი იწყებს სცენარის ანალიზის მომზადებას, მოსალოდნელი დაფინანსების მატრიცას უნდა დაემატოს რამდენიმე დაშვება და შემდეგ განისაზღვროს გაპ-ი. ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტრესტესტი გამოყენებულ იქნეს შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების ყველა წყაროს მიმართ, რაც შესაძლოა პოტენციურად მნიშვნელოვანი იყოს ფირმისთვის სხვადასხვა გარემოებაში. მაგალითად, ლიკვიდობის შემცირების სცენარი შეიძლება იყოს დაფინანსების უნარის შემცირება (1) რეიტინგის გაუარესების და (2) დეპოზიტების გადინების გამო, ან ლიკვიდობის საჭიროება შეიძლება წარმოიქმნას საკრედიტო ხაზების გამოყენების გამო¹³.

თითოეული სცენარისთვის, შეიძლება ითქვას, რომ უნდა განახლდეს ვადადამდგარი სესხები, რაც საჭიროებს ფინანსურ რესურსებს, ხოლო ლიკვიდობის კრიზისის პერიოდი შეიძლება 90 დღე გაგრძელდეს.

¹³ როგორ უნდა შექმნას საშუალო სიდიდის ბანკმა აქტივ-პასივების მართვის საკუთარი სისტემა სახელმძღვანელო თბ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 2011 გვ.28

თავი II. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა საბანკო საქმიანობაში

2.1. კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს კომერციული ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელია. მუდმივ ცვალებად ვითარებაში კომერციულმა ბანკმა სტაბილურად და ეფექტიანად ფუნქციონირება რომ შეძლოს, მისმა ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება ბანკის საქმიანობისა და ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებლების ანალიზსუნდა დაუთმოს.

ბანკში ფინანსური ანალიზის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მისი შედეგების საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობა აფასებს ბანკის არსებულ პოლიტიკას და ამუშავებს პერსპექტივებს, განსაზღვრავს ცალკეული სახეობის ოპერაციათა ეფექტიანობას და გეგმავს მათი ახალი სახეობების განვითარებას. ამგვარად, ფინანსური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების ღონისძიებებს.

ლიკვიდობის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ის პოტენციური და რეალური ტენდენციები, რომლებიც ბანკის ბალანსის ლიკვიდობის გაუარესებაზე მეტყველებს.

გამოყოფენ ბანკის ლიკვიდობის ანალიზის შემდეგ ძირითად მიზნებს:

- იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც უარყოფით ტენდენციებს იწვევენ ბანკის ლიკვიდობაში და მათი გავლენის დაყვანა მინიმუმამდე,
- შემფასებელი კოეფიციენტების სისტემის დაზუსტება, გაანგარიშების დროს დაშვებული შესაძლო უზუსტობების გამოვლენა,

ბანკის ბალანსის ლიკვიდობის გაუარესების რეალური და პერსპექტიული უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და მათი შეცვლის შესაბამის ღონისძიებათა მიღება, საანილიზო მასალების ფორმირება ბანკის ლიკვიდობის ღონისძიებათა შესახებ. რეკომენდაციების შემუშავება ბანკის მართვასთან დაკავშირებით და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.

ბანკის საქმიანობის ანალიზისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ბანკის ბალანსი, რომელიც ყველაზე კომპლექსურად ახასიათებს ბანკის საქმიანობას. ბალანსის მონაცემების ანალიზის მეშვეობით ანალიტიკოსს შეუძლია გააკეთოს დასკვნები ძირითად მიზანდასახულობათა რეალიზაციის, ბანკის ოპერაციების შემოსავლიანობისა და რისკიანობის მაჩვენებლების, აქტიური და პასიური ოპერაციების დაბალანსების, აგრეთვე ბანკში საქმიანობის კანონმდებლობით დაწესებული ნორმატივების შესრულების შესახებ. ლიკვიდობის მაჩვენებელთა ანალიზი ეყრდნობა, აგრეთვე, ბანკის ბალანსის ანალიზის დროს მიღებულ ინფორმაციას.

კომერციულ ბანკებში, კონკრეტული მეთოდის განსხვავებულობის მიუხედავად, ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები და ეტაპები ერთნაირია და შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

I ეტაპი. ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასება მისი ლიკვიდობის თავის აზრისით. ეს ეტაპი მოსამზადებელი ეტაპია. ამ ეტაპზე ხორციელდება ბანკის ლიკვიდობის განსაზღვრა ანალიზის დაწყების მომენტისთვის. აქ ფინანსური ანალიტიკოსის წინაშე დგას ამოცანა, განსაზღვროს ბაზა ამოსავალი წერტილი შემდგომი ანალიზისთვის. თუ ეს ეტაპი ვერ გამოავლენს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის სფეროში სერიოზულ პრობლემებს, მაშინ უნდა გაგრძელდეს ანალიზი ტენდენციებისა და სიტუაციების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით. თუ რაიმე პრობლემა გამოვლინდა, მაშინ შემდგომი ანალიზი საშუალება მოგვცემს, განვსაზღვროთ შექმნილი ვითარების გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები.

II ეტაპი. ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე, ისე როგორც მთლიანად მის საქმიანობაზე, მოქმედების სხვადასხვა მიმართულების მქონე დიდძალი ფაქტორები ახდენს გავლენას. ამიტომ ლიკვიდობის დარგში შექმნილი უარყოფითი ტენდენციების გამოვლენის დროს

ფინანსურმა ანალიტიკოსებმა აუცილებლად უნდა გამოავლინონ ამ ტენდენციების გამომწვევი ფაქტორები, გაანალიზონ მათი გავლენა და შეიმუშაონ ბანკის პოლიტიკის შეცვლის რეკომენდაციები, ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით. ამგვარად, ანალიზის მეორე ეტაპის ჩატარების მთავარი მიზანია მთლიანად ბანკის პოლიტიკაზე და, კერძოდ, მის ლიკვიდობაზე შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინება.

კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომელთაგან უნდა გამოიყოს სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და კონტროლის ეფექტიანობა, რაც ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეროგატივას წარმოადგენს.

საქართველოში კომერციული ბანკების ლიკვიდობის პოზიციებზე ზემოქმედების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, კერძოდ: ახორციელებს 1 კვირიანი რეფინანსირების ოპერაციებს TIBR1 და TIBR7 ინდიკატორებს, როგორც ფულადი ბაზრისგანაკვეთების წარმომადგენლობით სტატისტიკებს TIBR1 წარმოადგენს საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს ერთდღიან, არაუზრუნველყოფილ ბანკთაშორის სესხებზე, ხოლო TIBR7 - ერთ კვირამდე ვადიანობის ბანკთაშორის სესხებზე (ერთდღიანი სესხების გამოკლებით).

ეს ორი ინდიკატორი ნათლად ასახავს ადგილობრივ ფულად ბაზარზე არსებულ სიტუაციას, რადგანაც ბანკთაშორის ბაზარზე სესხების ვადიანობა ძირითადად სწორედ 1-დან 7 დღემდე მერყეობს. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველდღიურად აქვეყნებს TIBR განაკვეთებს საკუთარ ვებ საიტზე დაახლოებით 13 საათისთვის.

7 დღიანი რეფინანსირების სესხები ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. აღნიშნული ოპერაციები გამიზნულია ბაზრისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მისაწოდებლად¹⁴.

იმისათვის, რომ ლიკვიდობის კონტროლისას საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედებები წარმატებული იყოს, საჭიროა ლიკვიდობის პროგნოზირების ჩარჩოს ძირფესვიანი განვითარება.

ლიკვიდობის პროგნოზირების საკითხი მოითხოვს საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსის მთავარი მაჩვენებლების ცვლილებების ანალიზს. ამისათვის,

¹⁴ მუშკუდიანი ზ., კომერციული ბანკების ლიკვიდობის ანალიზი და მართვა ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2010 №13

საქართველოს ეროვნული ბანკი პროგნოზირებს როგორც ბანკების მოთხოვნას რეზერვებზე, ასევე ლიკვიდობის მიწოდების ავტონომიურ წყაროებს.

ლიკვიდობაზე მოქმედი ავტონომიური ცვლადები მიიღება საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსიდან და წარმოდგენს:

- ✓ წმინდა უცხოური აქტივებს;
- ✓ მთავრობის წმინდა პოზიციას საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ;
- ✓ ნაღდ ფულს მიმოქცევაში;
- ✓ სხვა წმინდა აქტივები.

ლიკვიდობაზე მოთხოვნა შედგება სავალდებულო და ჭარბ რეზერვებზე მოთხოვნისგან (იხ. ფორმულა).

ქვემოთ განხილულია ლიკვიდობის ავტონომიურ მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები დარეზერვებზე მოთხოვნა.

- ✓ წმინდა უცხოური აქტივების ცვლილება ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციებით განისაზღვრება და, შესაბამისად, გარკვეულწილად პროგნოზირებადია. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციები ხასიათდებიან დროითი ლაგით. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროგნოზირების ხარისხს (რომელიც როგორც წესი შეადგენს 1 კვირიან პერიოდს).
- ✓ ლიკვიდობის ავტონომიურ მიწოდებაში ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა მთავრობის წმინდა პოზიცია ეროვნულ ბანკთან. პროგნოზირების უფრო მეტი სიზუსტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს მონაცემებს ხაზინიდან, კონკრეტულად, სახელმწიფო შემოსავლების 1 თვიან, ხოლო ხარჯების 1 კვირიან პროგნოზებს. აგრეთვე გამოიყენება ინფორმაცია ძირითადი საგადასახადო შემოსავლების შემოდინების თარიღების პროგნოზირების მეტი სიზუსტის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სახელმწიფო ხარჯები ხასიათდებიან ძლიერი სეზონურობით. პროგნოზის ხარისხის ამაღლების მიზნით აღნიშნული სეზონურობის გათვალისწინება ხდება ეკონომეტრიკული მოდელებში
- ✓ ლიკვიდობის ავტონომიური მიწოდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნაღდი ფულ იმიმოქცევაში. როდესაც ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება, მცირდება ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა და პირიქით. მოკლევადიან

პერიოდში ვალუტის მოთხოვნაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორები, როგორებიცაა ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების გაცემა, აგრეთვე კვირის ბოლოები და დასვენების დღეები. ვალუტაზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის გამოიყენება დროითი მწკრივის მოდელი, თუმცა, პროგნოზირების ხარისხზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკისდოლარიზაციის მაღალი დონე. ვალუტის ჩანაცვლების ეფექტი ვალუტაზე მოთხოვნის პროგნოზს გარკვეულ პრობლემად აქცევს.

- ✓ სხვა წმინდა აქტივები ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალში დასარეზერვო ფონდებში და გადაფასების ანგარიშზე მომხდარ ცვლილებებს. აღნიშნული მაჩვენებლის პროგნოზირება შედარებით სწორხაზოვანია, ვინაიდან, აღნიშნული ცვლილებები ან წინასწარაა ცნობილი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, ან გავლენას არ ახდენენ ლიკვიდობაზე.
- ✓ ღია ბაზრის ოპერაციები საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლს ქვეშაა და შესაბამისად, იგი წინასწარ ცნობილი მაჩვენებელია. მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, როგორც წესი, პროგნოზირებულია, როგორც ნულის ტოლი.
- ✓ სავალდებულო რეზერვებზე მოთხოვნის პროგნოზირება საქართველოს შემთხვევაში სწორხაზოვანია, ვინაიდან სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების სისტემა საქართველოში წარსულზე ორიენტირებულია. სავალდებულო რეზერვების გამოანგარიშების პერიოდის ბოლოსა და ახალი დაცვის პერიოდის დასაწყისს შორის 2 კვირიანი შუალედი. სავალდებულო რეზერვების დაცვა ხდება სებ-ის საკორესპონდენტო ანგარიშებზე, გასაშუალოებული მეთოდით. ვინაიდან აღნიშნული ლაგი არსებობს, სებ-მა ზუსტად იცის სავალდებულო რეზერვების მოცულობა. თუმცა, რეზერვების გასაშუალოების ასიმეტრიული ბუნების გამო, სავალდებულო რეზერვების ლიკვიდობაზე გავლენა დასაცავი პერიოდის პირველ და მეორე ნახევრებში შეიძლება განსხვავებული იყოს.

რაც შეეხება ჭარბი რეზერვის მოთხოვნის პროგნოზირებას, იგი, ზომიერად მაღალი სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების პირობებში ნულის ტოლია. დღეისათვის, როგორც აღინიშნა, სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები ზედმეტად დაბალია, რაც ართულებს ჭარბი რეზერვის მოთხოვნის პროგნოზირებას.

ლიკვიდობის პროგნოზის გაკეთებისა და აუქციონზე გასატანი მოცულობის

დადგენა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ დელეგირებულ იქნა ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფისადმი, რომელიც შედგება მაკროეკონომიკური კვლევების, მონეტარული პოლიტიკისა და მონეტარული ოპერაციების განყოფილების სპეციალისტებისგან. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი განსაზღვრავს ზოგად საზღვრებს ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფისთვის (როგორცაა, მაგალითად, რეფინანსირების ოპერაციების მაქსიმალური მოცულობა და აუქციონების ჩატარების წინასწარი თარიღები).

საქართველოს ეროვნული ბანკი ძირითადად ორი სახის ლიკვიდობის პროგნოზს იყენებს: კვარტალურს და ყოველკვირიურს. პირველი მათგანი განიხილება თვეში ერთხელ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომებზე და გამოიყენება სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში პროგნოზირებისთვის. სადეპოზიტო სერთიფიკატების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას აგრეთვე, გამოიყენება კვარტალური პროგნოზები. ყოველკვირიური პროგნოზები კეთდება ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფისთვის, რომელიც შემდეგში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს მონეტარული ოპერაციების შესახებ.

ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს პროგნოზირებაზე მოქმედ ფაქტორებს და რეგულარულად აწარმოებს ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფის ჟურნალს, რომელიც გამოიყენება პროგნოზების დასახვეწად და ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად.

ლიკვიდობის მართვის მეთოდების რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს, თუმცა, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სამი: (I) აქტივების მართვა, (II) პასივების მართვა და (III) აქტივ-პასივების დაბალანსებული მართვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

„საბანკო სფეროში აქტივებისა და პასივების მართვა წარმოადგენს იმ რისკების მართვის პრაქტიკას, რომლებიც წარმოიქმნება ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების (აქტივებსა და ვალს შორის) ვადიანობის ან მოცულობის განსხვავების გამო. ბანკებს ემუქრებათ რამდენიმე ტიპის ისეთი რისკი, როგორცაა, მაგალითად, ლიკვიდობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, საკრედიტო და საოპერაციო რისკები. აქტივებისა და პასივების მართვა არის მენეჯმენტის სტრატეგიული

ინსტრუმენტი ბანკების, სხვა საფინანსო მომსახურების განმახორციელებელი კომპანიებისა და კორპორაციების წინაშე მდგარი საპროცენტო განაკვეთისა და ლიკვიდობის რისკის სამართავად.“

როდესაც ბანკი იწყებს აქტივ-პასივების მართვის ჯანსაღი სისტემის შექმნას, მან უნდა გააანალიზოს არსებული ვითარება აქტივ-პასივების მართვის სისტემის განზომილებების შესაბამისად. პირველი განზომილებაა ბანკის ორგანიზაცია, კერძოდ ის, თუ როგორ გეგმავს ბანკი საკუთარ საქმიანობას.

მეორე განზომილება არის აქტივ-პასივების მართვის პროცესის ორი ასპექტი. სტრატეგიული დონე მოიცავს რისკის მართვის ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებენ მენეჯმენტის ზედა რგოლი და დირექტორატი.

სტრატეგიული დონე აღწერილია რისკის მართვის პოლიტიკაში. საოპერაციო დონე შეიცავს რისკის მართვას ბიზნესის შიგნით ან ბიზნესმიმართულებების მასშტაბით. ამ კატეგორიას მიეკუთვნება შუალედური მენეჯმენტი ან რისკის მიმოხილვისათვის პასუხისმგებელი განყოფილებები, რომლებიც ახორციელებენ ნაწილობრივ შეფასებას, მართვას, მონიტორინგს და კონტროლს. ის ნაწილობრივ მოიცავს „მიმართულების“ რისკის მართვას, სადაც რეალურად წარმოიქმნება რისკები. ეს არის რისკის მართვის საქმიანობა, რომელსაც საოპერაციო განყოფილების – „ფრონტოფისის“ სახელით ეწევიან პირები და ასრულებენ სესხის გაცემის ფუნქციას. რისკის მართვა ამ სფეროებში შემოიფარგლება მენეჯმენტის მიერ დადგენილი ინსტრუქციებით.

მესამე განზომილება არის ინსტრუმენტების ნაკრები, რომელიც მეტ-ნაკლებად მიეკუთვნება საოპერაციო დონეს, რადგან შედის ინსტრუქციების შემადგენლობაში.

I. აქტივების მართვა გულისხმობს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდს, რომლის დროსაც იგი საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსებას აქტივებში ახდენს იმგვარად (ისეთი სტრუქტურით), რომ მინიმუმ-მამდე დაიყვანოს რისკები, შენარჩუნდეს ლიკვიდობის ზომიერი დონე მაქსიმალურად მიღწევადი შემოსავლიანობის უზრუნველყოფით. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა კომპლექსური პროცესია, რომელიც ეხება როგორც აქტივებს, ისე მის პასივებს და ამ პროცესის მართვისათვის ორი წყარო არსებობს: შიდა და გარე. აქტივების მართვის მეთოდი გულისხმობს ლიკვიდობის მართვისას შიდა წყაროების გამოყენებას, ანუ აქტივების ისეთი სტრუქტურის არსებობას, რომელიც საშუალებას იძლევა,

გადაილახოს ლიკვიდობის ნებისმიერი კრიზისი ერთი აქტივის მეორე აქტივად ოპერატიულად გადაქცევის გზით.

a) სახსრების საერთო ფონდის მეთოდი წარმოადგენს აქტივების მართვის ყველაზე მარტივ მეთოდს, რომლის მიხედვით, ყველა რესურსი (მოზიდული სახსრები და საკუთარი სახსრები) თავს იყრის ერთ „საერთო ფონდში“, რათა შემდეგ განაწილდეს სხვადასხვა აქტივში ბანკის შეხედულებისამებრ, ანუ მისი სტრატეგიის შესაბამისად.

b) სახსრების კონვერსიის, ანუ აქტივების განაწილების, მეთოდი გულისხმობს რესურსების წყაროებისა და განთავსების მიმართულებების დაკაშირებას ერთმანეთთან ვადებისა და მოცულობების მიხედვით. ამისათვის ხდება მოზიდვის წყაროების დაჯგუფება და ისინი მიემართებიან დაჯგუფებული აქტივების განთავსების ძირითადი მიმართულებებისაკენ. დაჯგუფების ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს ლიკვიდობა და შემოსავლიანობა. მეთოდი გულისხმობს, რომ ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო ლიკვიდური აქტივების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული მოზიდული რესურსების წყაროების ბუნებაზე. როგორც ვხედავთ, ამ მეთოდის მიხედვით, მოკლევადიანი და არასტაბილური პასივები მიმართულია ყველაზე მაღალლიკვიდურ და ნაკლებშემოსავლიან აქტივებში, მაშინ, როცა გრძელვადიანი და სტაბილური პასივები – გრძელვადიან, მაღალშემოსავლიან და უფრო მაღალრისკიან დაბანდებებში. მეთოდის ტიპური მაგალითია საკუთარი სახსრები (კაპიტალი), რომელიც, როგორც წესი, განთავსებულია ფიქსირებულ აქტივებსა და გრძელვადიან დაბანდებებში. მეთოდის ლოგიკა არის შემდეგი: ბანკი არ უნდა ყიდულობდეს ძირითად საშუალებებს ან გასცემდეს გრძელვადიან კრედიტებს მოთხოვნამდე ანაზრების ხარჯზე და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები არ უნდა იყოს განთავსებული ნაღდ ფულში ან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. აქ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორიც ჩნდება: როგორც წესი, ზოგადად, რაც უფრო გრძელვადიანია მოზიდული რესურსი, მით მეტია მისი ფასი (პირდაპირი და არაპირდაპირი).¹⁵

¹⁵ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.206-207

II. პასივების მართვა გულისხმობს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდს, რომლის დროსაც იგი ქმნის საკუთარი და მოზიდული სახსრე ბის მოცულობის მართვის პოლიტიკას. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, ოპერატიულად მიიღოს დამატებითი სახსრები სასურველი აქტიური ოპერაციის წარმოებისათვის. ამ მეთოდს ძირითადად იყენებენ მსხვილი ბანკები, რომელთაც თავიანთი რეპუტაციით და ფინანსური მდგომარეობით აქვთ ფინანსირების გარე წყაროებზე ხელმისაწვდომობის კარგი შესაძლებლობა და იგი განსაკუთრებით პოპულარულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ეს მეთოდი ბევრად უფრო ახალია, ვიდრე აქტივების მართვის მეთოდი და მის გავრცელებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებამ. პასივების ფორმირების კუთხით პასივების მართვა გულისხმობს მის სამ ძირითად მიმართულებას: ა) მოზიდული სახსრები, ბ) ნასესხები სახსრები და გ) საკუთარი სახსრები.

ა) მოზიდული სახსრების ფორმირება ხდება კომერციული ბანკების საკა-სო-საოპერაციო და დეპოზიტური ოპერაციების შედეგად. იგი არის პასივების სტრუქტურის მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც შედის კლიენტების სახსრები – მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე დეპოზიტები (ანაზრები) და ვადიანი დეპოზიტები (ანაზრები). ფაქტობრივად, ესაა იმ ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი, რომელთა უზრუნველყოფისათვისაც საჭიროა ლიკვიდური აქტივების არსებობა. როგორც უკვე ვიცით, მათი უმეტესი ნაწილი განთავსებულია ლიკვიდურ და მოკლევადიან, ნაწილი – გრძელვადიან აქტივებში;

ბ) ნასესხები სახსრები წარმოადგენს მთავარ მიმართულებას, რომლის მეშვეობითაც ხდება კომერციული ბანკის მიერ ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად პასივების მართვის მეთოდის რეალიზება. ამ კონტექსტში ნასესხებ სახსრებს მართვად პასივებსაც უწოდებენ და მათი მოზიდვა ხდება ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით. ნასესხებ სახსრებში შედის სუბორდინირებული ვალდებულებები, ბანკთაშორისი კრედიტები, სხვა საფინანსო ინსტიტუტების სახსრები, ოვერნაითები, საკუთარი სავალო ვალდებულებების ემისია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სესხების მიღება ქვეყნის ცენტრალური ბანკიდან. ამ საკითხს უკვე შევეხეთ პარაგრაფის დასაწყისში და როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტების ნაწილი სწორედ კომერციული ბანკის ლიკვიდობის დეფიციტის

დაფარვას ემსახურება. აქ შედის ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები. იმავე მიზანს ემსახურება ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია;

გ) საკუთარი სახსრები, როგორც პასივების მართვის მეთოდის ერთ-ერთი მიმართულება, გულისხმობს საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების მართვას. საკუთარი კაპიტალის მოცულობა და ხარისხი, ასევე მისი წილი.

III. აქტივ-პასივების დაბალანსებული მართვა, როგორც ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთი მეთოდი, გულისხმობს აქტივებისა და პასივების შეთანხმებულ მართვას. ამ მეთოდის არსი გულისხმობს კომერციული ბანკის ქმედებების მიმართვას ისე, რომ მაქსიმალურად დაბალანსდეს აქტივები და პასივები ვადებისა და მოცულობების მიხედვით, ხოლო შემდეგ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ეს თანაფარდობა და მართოს ლიკვიდობა იმ ფულადი ნაკადების შესაბამისად, რომლებიც იწვევენ ამ თანაფარდობის დარღვევას.

აქტივ-პასივების მართვის სისტემა არ შეიძლება ფუნქციონირებდეს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის გარეშე. ამ თავში ყურადღება იქნება გამახვილებული იმ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და ორგანიზაციულ განყოფილებებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას აქტივების/ვალდებულებების მართვაზე.

ბაზელის პრინციპი ხაზს უსვამს მენეჯმენტის როლს. „ბანკის დირექტორატმა უნდა დაამტკიცოს სხვადასხვა სტრატეგია და პოლიტიკა რისკის მართვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს მენეჯმენტის ზედა რგოლის მიერ სათანადო დონისძიებების განხორციელება აღნიშნული რისკების მონიტორინგისა და კონტროლისთვის დამტკიცებული სტრატეგიის და პოლიტიკის შესაბამისად. დირექტორატი რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული ბანკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკის შესახებ, რათა მოხდეს აღნიშნული რისკის მონიტორინგი და კონტროლი ბანკისთვის დასაშვები რისკის დონის შესახებ საბჭოს მი

თითებების შესაბამისად. ჰეჯირების ან რისკის მართვის ძირითადი ინიციატივები წინასწარ უნდა დაამტკიცოს საბჭომ ან მის მიერ დელეგირებულმა სპეციალურმა კომიტეტმა. მენეჯმენტის ზედა რგოლმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბანკის ბიზნესის სტრუქტურა და რისკის დონე ეფექტიანად იმართებოდეს, არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები აღნიშნული რისკების კონტროლისა

და შეზღუდვისთვის, და ხელმისაწვდომი იყოს რესურსები საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასებისა და კონტროლისათვის.“

2.2. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა საბანკო საქმიანობაში

სამეცნიერო ლიტერატურაში ბანკის მიერ ლიკვიდობის რეგულირების საკითხის განხილვისას, ჩვეულებრივ, მხოლოდ რეგულირების მეთოდის დახასიათებით შემოიფარგლებიან. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა დამოკიდებულია როგორც კონტროლირებად, ასევე არაკონტროლირებად გარემოზე და, აქედან გამომდინარე, საბანკო საქმიანობის პროგნოზირებაზე, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორი ინფორმაციის მიღებაზე. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ბანკის ლიკვიდობის წარმატებით მართვისათვის აუცილებელია ყოვლისმომცველი ინფორმაციის ფლობა, რაც ნაწილობრივ სწორია, მაგრამ სრულყოფილად ამის მიღწევა შეუძლებელია, მით უფრო, რომ თითქმის ყველა ინფორმაცია მოითხოვს ხარჯებს.

ბანკი, როგორც ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი, იმყოფება ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებას შორის: შემომავალი ინფორმაციის გაფართოებისა და ინფორმაციის მიღების დანახარჯების შემცირების აუცილებლობის წინაშე. ამიტომ თითოეულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს თავისი „ოქროს შუალედი“ შემომავალი ინფორმაციული ნაკადისათვის. როგორია ყველა ბანკისათვის ამ „ოქროს შუალედის“ საერთო კრიტერიუმი? საქმე ისაა, რომ ინფორმაციის ზრდა და დანახარჯები ერთმანეთზეა დამოკიდებული. ინფორმაციის ყოველი შემდგომი ერთეული უფრო ძვირი ღირს, ვიდრე წინა. ლიკვიდობა ზეგავლენას ახდენს ბანკის მიზნებზე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა, მით უფრო სწრაფად აღწევს ბანკი თავისი არსებობისა და განვითარებისათვის დასახულ ამოცანებს, ანუ მით უფრო დიდია შესაძლებლობა განვითარებისათვის, კლიენტების, რესურსებისა და კვალიფიციური კადრების მოსაზიდავად და ბანკის მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად და პირიქით – რაც დაბალია ბანკის ლიკვიდობა, მით უფრო მაღე მოხდება მისი ლიკვიდაცია.

ამდენად, ლიკვიდობის რეგულირება მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო-ებრივი ფაქტორია კომერციული ბანკების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს მიერ ბანკების ლიკვიდობის რეგულირება ხდება მის მიერვე განსაზღვრული სავალდებულო ლიმიტების დაწესებით, რომელთაც ბანკის „ეკონომიკური ნორმატივები“ ეწოდება და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია შესაბამის ინსტრუქციებსა და ნორმატიულ აქტებში.

საქართველოში ძირითადი ეკონომიკური ნორმატივები, მათი გაანგარიშება და ეტალონური მნიშვნელობა განსაზღვრულია ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით, რომლებშიც რეგულარულად შეაქვთ ცვლილებები და დამატებები. იმ ნორმატივებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია მხოლოდ ბანკების ლიკვიდობის რეგულირებისკენ, დარეზერვების ნორმას გააჩნია კიდევ ერთი ფუნქცია – ზემოქმედება მოახდინოს ბანკების კრედიტუნარიანობაზე, ანუ ფულად მულტიპლიკატორზე, ამიტომ დარეზერვების ნორმა წარმოადგენს ლიკვიდობის რეგულირების ნორმატივს. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კლიენტის კრედიტუნარიანობა ყოველთვის მიიჩნეოდა საკრედიტო ურთიერთობის ფორმისა და მიზანდასახულობის განსაზღვრის აუცილებელ, ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. ვალის დაბრუნების შესაძლებლობა უკავშირდება კლიენტის მორალურ სახეს, დახელოვნებას, მის საქმიანობას, კაპიტალის დაბანდების დონეს უძრავ ქონებაში, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესების შედეგად სახსრების გამომუშავების შესაძლებლობას, სესხისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის უნარს. მსესხებლის კრედიტუნარიანობა ნიშნავს იურიდიული ან ფიზიკური პირის შესაძლებლობას, მთლიანად და დროულად გაასწოროს ანგარიში თავის სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებით.

თანამედროვე პირობებში ბანკები კლიენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ რთულ სისტემას, რომელიც დიფერენცირებულია მსესხებლის საქმიანობისა და ანგარიშების მიხედვით. მაგალითად, მსოფლიო ბანკი ლიკვიდობის ფინანსურ კოეფიციენტს ორი სახით გამოხატავს: მიმდინარე და „სწრაფი“ ლიკვიდობის კოეფიციენტებით. რაც შეეხება, საერთოდ, ლიკვიდობის კოეფიციენტს, იგი უჩვენებს ფირმისა თუ კერძო პირის პასუხისმგებლობას, შესაძლებლობის მიხედვით დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდობის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოიხატება:

$$1. \text{ მიმდინარე ლიკვიდობის } = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{კოეფიციენტი}}, \quad (1)$$

მიმდინარე პასივები (ვალდებულებები)

სადაც: მიმდინარე აქტივები = ნაღდი ფული + დებიტორები - ნაშთი (დებიტორები რეზერვები არასაიმედო ვალის დასაფარავად);

პასივები (მიმდინარე = მოკლევადიანი კრედიტები + ვალდებულებები) + ანგარიშსწორება გადახდაზე + მიმდინარე წლის ხარჯები გრძელვადიან კრედიტზე + სხვადასხვა მიმდინარე პასივები.

ლიკვიდობის წარმოდგენილი კოეფიციენტების საქართველოში გამოყენება, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საბანკო საქმიანობაში ლიკვიდობის მართვის სრულყოფას.

მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის ლიკვიდობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, რისთვისაც მსოფლიო პრაქტიკაში ისეთ მაჩვენებლებს იყენებენ, რომლებშიც აისახება ბანკის საიმედოობა, გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა და მისი საქმიანობის უსაფრთხოება. აღნიშნული მოწმობს, რომ ლიკვიდობის მაჩვენებლები კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებად გვევლინება.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას გამოყენებული კოეფიციენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

- ბანკის საკუთარი სახსრების საკმარისობა;
- კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობა.

იგი თავის მხრივ, შეფასების ორ ასპექტს მოიცავს: ა) კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების შესაბამისობას დროისა და სახსრების მიხედვით და ბანკის გადახდისუნარიანობას; ბ) კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების რისკის ხარისხისა და მათი დივერსიფიკაციის.

პირველს მიეკუთვნება კაპიტალის ადეკვატურობის (საკმარისობის) კოეფიციენტები (კაპიტალის შეფარდება ბანკის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან), გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (საკუთარი და ნასესხები კაპიტალის შეფარდება) და სხვ.

კოეფიციენტების მეორე, მრავალრიცხოვანი ჯგუფი განისაზღვრება ბანკის ბალანსის ცალკეული აქტიური და პასიური მუხლების თანხვედრითა და ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების სტრუქტურული შესაბამისობით. მათ მიეკუთვნება მიმდინარე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტები. ისინი ახასიათებს პასივის მდგრადობას აქტივების ბრუნვადობის უნარს, ბანკის საშუალებებს – შეასრულოს თავისი ვალდებულებები, აქტიური და პასიური ოპერაციების შესრულების ვადების შესაბამისად. მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენს კომერციული ბანკის ოპერაციების დივერსიფიკაციის მახასიათებლებს, განსაზღვრავს რისკის დონის შეფარდებას ერთ მსესხებელსა ან მეანაბრესა და ბანკის საკუთარ სახსრებს შორის. ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას კოეფიციენტების გამოყენების მეთოდი ითვალისწინებს შემდეგს: გამოიყოს მუდმივი სიდიდე, როგორც საბაზო მაჩვენებელი, მასთან სხვა მაჩვენებლების შესადარებლად. ეს უკანასკნელი ახასიათებს კომერციული ბანკის საქმიანობას და მისი ოპერაციების მოცულობას.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მოქმედი შეფასების კოეფიციენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომლის თანახმადაც უმეტესად გამოიყენება ბანკის საკუთარი კაპიტალის მაჩვენებელი, მისი აქტივების ან ვალდებულებების თანხა, ანუ პრიორიტეტი ენიჭება კომერციული ბანკის საკუთარ კაპიტალს. აღნიშნული შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება:

კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი არის განსაკუთრებით მდგრადი და შედარებით მუდმივი სიდიდე პასივში და ყველაზე ნაკლებად განიცდის გარე ფაქტორების ზემოქმედებას;

საკუთარი კაპიტალი ასრულებს ერთგვარი სადაზღვევო ფონდის როლს, რომელიც უზრუნველყოფს ანაბრების დაცვას;

თავისი მდგრადი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალი გვევლინება სარისკო ოპერაციების განხორციელების წყაროდ, რომელსაც ყველაზე დიდი შემოსავალი მოაქვს ბანკისა და მისი აქციონერებისათვის.

ბაზელი III“-ის მიერ რეკომენდებული ლიკვიდობის მართვის ჩარჩო – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტები (Liquidity Coverage Ratio – LCR) –ის ითვალისწინებს ბანკის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: ვალდებულებების ვადიანობა, კონცენტრაცია (მათ შორის არარეზიდენტების ჭრილში), ლიკვიდური აქტივების ხარისხი, აქტივების ლიკვიდურად გარდაქმნის

შესაძლებლობა, დეპოზიტების ვადაზე ადრე დარღვევის შესაძლებლობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ „ბაზელი III“-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი საკმაოდ კონსერვატულ მიდგომად ითვლება, ქართული ბანკებისთვის მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან, არსებული კანონმდებლობით, ისინი აკმაყოფილებენ ლიკვიდობის კოეფიციენტს, რაც მთლიანობაში, LCR-ზე ბევრად უფრო კონსერვატულია. ამასთან, კაპიტალის ადეკვატურობის არსებული ჩარჩოს მსგავსად, ცალკე აღებული მხოლოდ არსებული კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფს ლიკვიდობის უფრო ზუსტ და, შესაბამისად, ეფექტიან მართვას.⁷⁷ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბაზელი III“ ბევრი ბანკისთვის ევოლუცია უფროა, ვიდრე რევოლუცია, რომელიც შემუშავებულ იქნა არსებული „ბაზელი II“-ის შეთანხმების ჩარჩოებში და, რაც მთავარია, ბანკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სხვაობას წარმოადგენს ლიკვიდურობის, Leverage ratios-ისა და გაზრდილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა.

„ბაზელი III“-ის შეთანხმება ცვლის მეთოდს, რომლითაც ბანკები აგვარებენ რისკებისა და ფინანსების მართვის საკითხს. ახალი რეჟიმი ცდილობს ფინანსებისა და რისკის მართვის ფუნქციების უფრო ფართო მამტაბებით ინტეგრაციას.

„ბაზელი III“-ის შეთანხმებისთვის დამახასიათებელია რისკის მართვაზე ახალი აქცენტის გაკეთება, რაც მოითხოვს რისკის მართვის სტრუქტურის წარმოდგენას ან განვითარებას. ეს კი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსების მართვის არსებული ინფრასტრუქტურა.


ვალდებულების სტრუქტურაში ვადიანი დეპოზიტების წილი უმნიშვნელოდ გაიზარდა, ხოლო ნასესხები სახსრების წილი შემცირდა. ამასთან, ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს.

2018 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მაღალი დონითა და მცირე მერყეობით ხასიათდებოდა. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 21 პროცენტს აჭარბებს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 37 პროცენტის დასაფარად.

დიაგრამა N 2.1.¹⁶

¹⁶ საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf_{33,109}

ვალდებულებების სტრუქტურა




2018 წლის განმავლობაში ლიკვიდობის კოეფიციენტი სტაბილურად მაღალ დონეს ინარჩუნებდა.

უცხოური ვალუტის მაღალი ლიკვიდობა დაკავშირებულია უცხოური ვალუტის სესხებზე შესუსტებული მოთხოვნითა და უცხოური ვალუტის ვალდებულებებზე გაზრდილი სარეზერვო მოთხოვნებით. ამასთან, წლის ბოლოს ბანკებმა მსხვილი იურიდიული პირებიდან ლარის ფონდირება მოიზიდეს, რაც ლარის და ჯამური ლიკვიდობის დონეზეც აისახა. მსგავსი დინამიკაა 1 თვემდე აქტივების და ვალდებულების გეპშიც.

დიაგრამა N 2.2.¹⁷

ლიკვიდური აქტივების დონე

¹⁷ საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf გვ.107



ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. ეროვნული ბანკი 2018 წლის განმავლობაში აგრძელებდა რისკების მონიტორინგს ვალუტების ჭრილში.

2018 წელს გრძელდებოდა ცვლილებები ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიმართულებით და დაიხვეწა ლიკვიდური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიტიკური ანგარიშგების ფორმა. სტაბილურად მაღალ დონეს ინარჩუნებს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას იძლევა. LCR-ის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პრუდენციული ზედამხედველობა და ხელი შეუწყო ვალდებულებების დაგრძელვადიანებას, მათ შორის, გამოუთხოვადი სადეპოზიტო სერტიფიკატების პროდუქტის განვითარებას.

დიაგრამა N 2.3.¹⁸

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა

¹⁸ საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2018
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf გვ.114



თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ LCR-ი არ მოიცავს ლიკვიდობის რისკის რეგულირების ისეთ განუყოფელ ნაწილს, როგორცაა, მაგალითად, ვალდებულებების გადახდების კონცენტრაცია, რეალურად მოქმედი დაფინანსების საგანგებო გეგმა და სხვა, რასაც ყურადღება ეთმობა ლიკვიდობის რისკის შეფასებებისას. ამასთან, გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად დაიწყო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) დანერგვის პროცესი. მისი დანერგვის შემდგომ გაუქმდება ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა (მოკლევადიანი ვალდებულებების 30 პროცენტი) და ის მხოლოდ მონიტორინგის მიზნით იქნება გამოყენებული. შედეგად, ლიკვიდობის რისკის საზედამხედველო ჩარჩო სრულ შესაბამისობაში მოვა ბაზელის სტანდარტებთან.

თავი III. ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემა

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კონკურენციის წარმოქმნასა და მისი გაძლიერების პროცესს, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით, გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. გაკოტრებასა და ბანკების ლიკვიდაციას მოსდევს უმუშევრობა, მეანაბრების დაკარგვა, სოციალური დაძაბულობის ზრდა და გაკოტრებული ბანკის კლიენტების საქმიანობის შეფერხება. კონკურენციის უპირატესობა, სახელმწიფო რეგულირებასთან შედარებით, ყოველთვის და ყველგან არ სჭარბობდა მის უარყოფით შედეგებს. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც ამართლებს კონკურენციის გაძლიერების პროცესს იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ბანკების ლიკვიდობის მაკროდონეზე დარეგულირება, ხოლო ბანკების ხელმძღვანელებს ბანკის ლიკვიდობის მიკროდონეზე მართვა. ყოველივე ეს პირველ ადგილზე აყენებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის ოპტიმალური რეგულირების საკითხს. აღსანიშნავია, რომ ტერმინის განმარტებიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, კომერციული ბანკის ლიკვიდობა არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ანუ ბანკის შესაძლებლობისაგან – დროულად აგოს პასუხი თავისი ვალდებულებების შესრულებაზე დროის განსაზღვრულ მომენტში.

მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, აუცილებელია მათ შორის განსხვავების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობის არარსებობის პირობებში ბანკს უფლება არა აქვს არ გასცეს დეპოზიტი კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად და დაელოდოს მისთვის ხელსაყრელ დროს, ანუ დამატებითი სახსრების შემოდინებასა და ლიკვიდობის აღდგენას. ამ შემთხვევაში გადახდისუნარიანობა დარჩება ისეთივე, როგორც იყო

ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში შესრულებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუუნაროდ მიიჩნევა ბანკი, რომელსაც შეუძლია, ადრე თუ გვიან, შეასრულოს ვალდებულებები, ხოლო ლიკვიდურად – რომელიც განსაზღვრულ ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას. არალიკვიდობასა და გადახდისუუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. დადგენილი ზღვრის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კრიტიკული ზღვრის მიღწევამდე შემლეს ლიკვიდობის აღდგენას, კრიზისი დროებითი ხასიათისა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუუნარობის კრიზისში გადავა და საბანკო საქმიანობისათვის პრაქტიკული შედეგით – ლიცენზიის ჩამორთმევითა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დამთავრდება. როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და ამ ორივეს განსაზღვრავს ბანკის მომგებიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება „მომგებიანობის ან ლიკვიდობის“ პრობლემის დაყენება, ვინაიდან მათ შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. გარდა ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბანკის აქტივების ზრდას თან ახლავს ლიკვიდობის შემცირების ტენდენცია – რაც უფრო მსხვილია ბანკი, მით უფრო ნაკლებად ლიკვიდურია.

ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემის წამოჭრა თეორიულად გაუმართლებლად და პრაქტიკულად უსარგებლოდ მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი, პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივების შემოსავლიან ოპერაციებში გადაყვანით მართალია, ბანკი აუარესებს მოკლევადიან ლიკვიდობას, მაგრამ ამ დროს უმჯობესდება გრძელვადიანი ლიკვიდობა და თანაც – უფრო მეტად, როცა ოპერაციები საიმედოა. კომპლექსური თვალსაზრისით კი, დილემა – „მოგება ან ლიკვიდობა“ აზრს კარგავს; მეორე, ბანკის საქმიანობა ზეგავლენას ახდენს რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებზე, რომლებიც აუცილებელია აქტიური შემოსავლიანი ოპერაციების საწარმოებლად და პასივების ვალდებულებების შესასრულებლად, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდობას. მაღალი ლიკვიდობის პირობებში ბანკი უფრო სწრაფად აღწევს

დასახულ მიზნებს – კლიენტების რესურსებისა და კვალიფიციური კადრების მოზიდვას მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად; მესამე, ლიკვიდობის დროებითი კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვების ნორმების მკვეთრი ზრდის დროს. გრძელვადიან არალიკვიდობას მივყავართ არამომგებიანობისაკენ (ჯარიმების ზრდის გამო), ხოლო ამ უკანასკნელს – არალიკვიდობისაკენ.

მომგებიანობა და ლიკვიდობა მხოლოდ ერთად ამალღებს და აძლიერებს ერთმანეთს; მეოთხე, საქართველოს ბანკები, რომლებიც მოზიდულ რესურსებს განათავსებენ უცხოურ ვალუტაში, საკონვერსიო ოპერაციების დროს რეგულარულად ხვდებიან წინააღმდეგობებს, კერძოდ, ბანკებს შემოსავლები უმთავრესად უცხოურ ვალუტაში აქვთ, ხოლო გადასახადების გადახდა აუცილებელია ლარებით. ასევე, რესურსები მოზიდულია უცხოურ ვალუტაში, ხოლო სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვები ლარებში ხორციელდება.

ნებისმიერი კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასება შესაძლებელია ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით :მომგებიანობა და საიმედოობა. მათ შორის საიმედოობის განსაზღვრ ორი ძირითადი მაჩვენებელია ცნობილი :ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა,ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა არის ის ორი ძირითადი მიზანი რომელთა მიღწევა განსაკუთრებით პრიორიტეტულია ქვეყნის ცენტრალური ბანკებისთვის, თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, როცა ისინი გვევლინებიან სტაბილური საბანკო სისტემის გარანტად და უზრუნველყოფენ მოსახლეობის მხრიდან საბანკო სისტემისსადმი ნდობის ამალღებას.ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა ასევე არის ბანკის მენეჯმენტისა და აქციონერთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ვინადან კრიზისის შემდეგ მისი გაკოტრების პერპეტუა დგება.¹⁹

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მართვა.

¹⁹ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ.2014., გვ.194

ცნება “ლიკვიდურობა” მატერიალური ფასეულობებისა და სხვა აქტივების რეალიზაციის, გაყიდვის, ფულად სახსრებად გარდაქმნის სიადვილეზე მიუთითებს. ცნება “გადახდისუნარიანობა” კი სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ თავის საგადასახადო ვალდებულებების თავისდროულად და მთლიანი მოცულობით შესრულების შესაძლებლობას მოიცავს. ამრიგად, ლიკვიდურობა გადახდისუნარიანობის, როგორც საჭირო და აუცილებელი პირობის როლში გამოდის.

ნათლად წარმოსადგენად, ცნება “ლიკვიდურობა” ნიშნავს:

- 1) მატერიალური ფასეულობების და სხვა აქტივების რეალიზაციის გაყიდვისა და ფულად სახსრებად გარდაქმნის შესაძლებლობას;
- 2) ბანკის მიერ ფულადი ხასიათის სავაჭრო, საკრედიტო და სხვა სახის ოპერაციებიდან გამომდინარე ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების შესაძლებლობას;
- 3) ბანკის აქტივებისა და პასივების ვადების მიხედვით დაბალანსებას.

ბანკის ლიკვიდურობა მისი აქტივებისა და პასივების დაბალანსებით, განთავსებული აქტივებისა და მოზიდული პასივების ვადების შესაბამისობის ხარისხით განისაზღვრება.

ლიკვიდურობის შეფასება ბანკის აქტიური ოპერაციების რისკის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების შეფასებასთან არის დაკავშირებული. ასეთი მიდგომისას ლიკვიდურობის შეფასება არა მარტო ბანკის საანაგრიშგებო ბალანსების მონაცემებს, არამედ მოგებისა და ზარალის ანაზღაურების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას, დაფინანსების წყაროების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ლიკვიდურობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ უმთვარეს საკითხად რჩება ეროვნული ბანკის პოზიცია _ როდესაც რომელიმე კომერციული ბანკი ველარ ახერხებს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას, ეროვნულ ბანკს, მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად შეუძლია გასცეს კრედიტები ბანკებსა და არასაბნკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე, რომელსაც ეროვნულ ბანკში ანგარიშები

აქვთ გახსნილი. თუ რომელიმე (არაწამყვანი) კომერციული ბანკი ლიკვიდაციის წინაშე დგას, ამით მთლიან სისტემას რეალური საფრთხე არ ემუქრება და ეროვნული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ექნება. მაგრამ, დეპოზიტების სუსტი დივერსიფიკაცია საბანკო სისტემას დამოკიდებულს ხდის თითო ოროლა ბანკზე. ალბათ, უკეთესი იქნებოდა დეპოზიტები, თუნდაც ისეთივე პროპორციულობით ყოფილიყო განაწილებული, როგორც სესხების პორტფელი. თუ ამ ბანკებში კრიზისის განვითარების შესაძლებლობებს დაუშვებთ, მაშინ ის დეპოზიტების მაშტაბურ გადინებას გამოიწვევს. ასე წარმართული მოვლენები ეროვნულ ბანკს სესხის სასწრაფოდ გაცემას აიძულებს, მაგრამ სისტემაში ლიკვიდურობის პრობლემა დროებით იქნება მოხსნილი.

კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, მკაცრად განსაზღვრონ პერიოდულობით – ყოველი თვის ბოლოს წარუდგინონ მარეგულირებელ ორგანოს მათი ლიკვიდურობის მაჩვენებლები საერთაშორისო მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასიალაი კ., საბანკო საქმე სასაწავლო- პრაქტიკული სახელმძღვანელო (პირველი გამოცემა). სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2018

2. კოვზანაძე ი., გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. 2014
3. კუნჭულია პ., ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში (Ph.d.in Business Administration) წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი თბ. 2014
4. მუშკუდიანი ზ., კომერციული ბანკების ლიკვიდობის ანალიზი და მართვა ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2010 №13
5. როგორ უნდა შექმნას საშუალო სიდიდის ბანკმა აქტივ-პასივების მართვის საკუთარი სისტემა სახელმძღვანელო თბ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 2011
6. ქოქიაური, ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბ., 2010
7. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) სახელმძღვანელო თბ. 2011
8. საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ანგარიში www.nbge.ge
9. Dr. Eugene F. Brigham, Financial Management: Theory & Practice: 15th Edition, 2016
10. Raymond Brooks, Financial Management: Core Concepts, Student Value Edition Plus MyLab Finance with Pearson eText -- Access Card Package (3rd Edition) 2015
11. Charles Menifield, The Basics of Public Budgeting and Financial Management, Third Edition, 2017.